იური შევჩუკმა პანანინა სოფელში, კარელიის საზღვართან იყიდა სახლი. ჟურნალისტებს სოფლის სახელწოდების პრესაში გამოქვეყნებას და სახლის ექსტერიერის გადაღებას სასტიკად უკრძალავს – როგორც ჩანს, “სახალხო კუთვნილებად” ქცეულ შემოქმედს მეტისმეტი ყურადღება მობეზრებული აქვს. თან, როგორც თვითონ ბრძანა, თავის ვაჟთან ერთად მარტო დარჩენაც უნდა ხოლმე, რადგან “ბიჭები მამებთან ერთად უნდა იყვნენ ხოლმე, ზოგჯერ ქალების გარეშე”.

უკვე ათწლეულებია, რაც DDT-ს ლიდერის მიმართ საზოგადოების ინტერესი არ განულებულა, და თუკი ადრე სუკი დასდევდა, ახლა ჟურნალისტები და ცნობისმოყვარეები უშლიან ნერვებს. ყველა გულმოდგინედ ცდილობს მის პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფას, და ზოგჯერ სრულიად დაუსაბუთებელ და გულისამრევე ამბებსაც ბეჭდავენ ხოლმე. საერთოდ, როცა ადამიანი ამდენად პოპულარულია, ძნელი გასარკვევი ხდება, სად მართალია და სად – ტყუილი. ამიტომ მისი პორტრეტისათვის რამდენიმე შტრიხის შესამატებლად გადავ-



იური შევჩუკი

წყვიტე, უშუალოდ მის მიერ მოთხრობილ ამბებს დაეყრდნობოდი: მოგეხსენებათ, ობიექტური ადამიანები საერთოდ არ არსებობენ, ჟურნალისტები კი – მით უმეტეს. ალბათ, მეც ძალიან მეტყობა, რომ იური შევჩუკის მიმართ გულგრილი არა ვარ...

მაგალითად, ადრეული ახალგაზრდობის ერთი ამბავი თავად აქვს მოყოლილი: ოდესღაც შევჩუკსაც ჰქონია პერიოდი, რომელიც შემდეგ თავის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიმღერაში, У нас в деревне тоже были хиппаны-ში აღწერა. მას, ცხადია, გრძელი თმა ჰქონდა, და ერთხელაც ქუჩაში ოპერაზმის კომკავშირლებმა დაიჭირეს. მათ ძერჟინსკის

პორტრეტით დამშვენებული სამკერდე ნიმუხები ეკეთათ. “სკვერში ექვსმა კაცმა გამაკავა და თმაზე ცეცხლი მომიკიდა. მართლა, თავზე ცეცხლი წამეკიდა. უბრალოდ, თმა ამოვიგლიჯე, ვისაც სად მივწვდი, დავარტყი, დავეცი, ცეცხლის ჩაქრობას ვლამობდი...” რამდენიმე წლის შემდეგ ამ ჯიშის ტიპები, თუ მთლად ისინი არა, ვინც იურა შევჩუკს პარკში ურტყამდნენ, სპორტის სასახლეში მის კონცერტზე გამოცხადდნენ და მთვრალი ღრიალებდნენ: “მიდი, იურა!”

უნდა ითქვას, რომ შევჩუკი თავისი კოლეგებს ხშირად ადანამაულებს ხოლმე, “პოპსას” აწვებითო. საერთოდ, ყოველთვის ასეთი ყოფილა. ამ

ნიადგზე ერთხელ ვიტორ ცოის საცემრადაც კი განუფლა. არადა, ცოის გარდაცვალების ამბავი როცა მიუ-

ამბობენ, რომ ადრე თუ გვიან სიქმართლისთვის ბრძოლა ქარის ნისქვილთან შერკინება იქცევა ხოლმე – კეთილშობილი, მაგრამ უაზრო საქმეო. მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი, ის თაობაც კი, რომლისთვისაც კომკავშირლებს თმა არასოდეს შეუტრუსავს, იური შევჩუკის РОДИНА-ს მღერის. იური შევჩუკის ბრძოლა აშკარად არაა უაზრო. თან ძალიან კარგია, როცა ვინმე ისეთი ძალიან და დარწმუნებით წარმოთქვამს ყველა ადამიანისთვის ყველაზე სასურველ სიტყვებს: Ты будешь вечно со мной...



B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადება B7 სტილი B8 სხვადასხვა



B7 სტილი B8 სხვადასხვა

ზურბის ქარს ბისურვებით!

თამარ სუნიველი

გახმაურებულმა ლიტერატურულმა კონკურსმა - პენ-მართონმა წელს სამუშაოდ 24-საათიანი გრაფიკი აირჩია, ანუ მისი მონაწილეები საკონკურსო მოთხოვნას ერთი დღე-ღამის - 24 საათის განმავლობაში დაწერენ. ასე რომ, თავისი არსებობის მეორე წელს, მართონი გაორმაგებული ძალებით და გაორმაგებული საშუალებებით იწყებს მუშაობას - დროის ხანგრძლივობასთან ერთად ფულადი პრემიების რაოდენობაც გაიზარდა. პრემიები დაწესეს: I პრემია - "ჯორჯია ონლაინი", 1 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი, II პრემია - კომპანია "ჩენელ ენერჯი", 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი; III პრემია - ფოთის საზღვაო ნავსადგური, 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი.

კონკურსის ორგანიზატორები: ლეონი "ძველი თბილისი", გამომცემლობა "დიოგენე" და "ჯორჯია ონლაინი". მხარდამჭერები: ფოთის პორტი, კომპანია "ჩენელ ენერჯი", ტელეკომპა-

ნია "რუსთავი-2" და გაზეთი "24 საათი". 2003 წელს პენ-მართონი "საქართველოს ბანკის" პატრონაჟით ტარდება. კონკურსის 24-საათიან ფორმატსა და სხვა სახელებზე გუშინ გაზეთ "24 საათის" რედაქციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ისაუბრეს. გამოცემლობა "დიოგენეს" დირექტორი თამარ ლებანიძე, კონკურსის ინიციატორი ჯარჯი აქიმძე, "ჯორჯიან ონლაინის" აღმასრულებელი დირექტორი მერაბ ბუხალაძე, "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი ვლადიმერ პატიშვილი, ფოთის პორტის დირექტორი ვეჟამ ინაშვილი, "ჩენელ ენერჯის" დირექტორი ალი აბაიძინი და ჟურის წევრი დავით ჯავახიშვილი - აი, ის ადამიანები, რომლებიც გუშინდელ პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ, ცოტა მოგვიანებით მათ შარშანდელი ჟურის თავმჯდომარე გახუშტი კოტეტიშვილიც ემეურთოდნენ.

ჟიური, რომელმაც 2002 წელს, მართლაც, მართონი დაიწყო იმუშავა, წელსაც უცვლელი დარჩება: ვახუშტი კოტეტიშვილი, დავით ჯავახიშვილი, კოტე ჯანდიერი, ჯარჯი აქიმძე, თამ-



პენ-მართონი 2003 "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში დაიწყო

არ ლებანიძე, მაღაზნ ხარბედია, გია გმა, თანაც ორიგინალურ ადგილას - პატარა გემზე, რომელსაც "კაპიტანი თავართქილაძე" ჰქვია. გემი ფოთის

პორტიდან გავა 7 ივნისს, დილის 12 საათზე. ასეთი არჩევანი ორგანიზატორთა ახირება სრულდებოდა არ გახლავთ, "გვინდა, რომ თბილისიდან გავიდე და თანდათანობით საქართველოს ყველა რეგიონი მოვიცვათ, ლიტერატურული პროცესები დედაქალაქის გარეთაც გავიტანოთ", - ამბობენ ორგანიზატორები. რაც შეეხება დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას, ის 27 ივნისს გაიმართება თბილისში, "საქართველოს ბანკის" განახლებულ დარბაზში, რომლის რესტავრაციაც ამჟამად მიმდინარეობს. ამ დღეს ერთდროულად მოხდება გამარჯვებულ მწერალთა დაჯილდოება და ისტორიული დარბაზის გახსნა, რომელიც პირველი ქართული ბანკისა და ოლია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული.

"დღეს ქართულ კულტურას დახმარება სჭირდება, - ამბობს "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი ვლადიმერ პატიშვილი, მოხარული ვარ, რომ ამ მართონში ჩავეხები, თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, ჩვენი თანამშრომლობა სისტემურ ხასიათს მიიღებს."

შარშან მართონის პირველ ეტაპზე 661 ადამიანი მონაწილეობდა, აქედან 26 შერჩეა, მერე კლუბ "100 % Cotton"-ში 12-საათიანი ლიტერატურული შეჯიბრიც გაიმართა... საბოლოოდ სამი გამარჯვებული გამოვლინდა: გელა ჩქვანავა, მარინე კლბაქიძე და თამარ ფხაკაძე. ათი საუკეთესო მოთხოვნა კი ნივნად გამოცდა...

წელს კი... მონაწილეობის მსურველებმა გამოცემლობა "დიოგენეს" უნდა მიაკითხოთ, 19 მაისიდან 30 მაისამდე და პროზაული ნაწარმოები (5 გვერდამდე) წარადგინოთ, მეორე ეტაპზე მაქსიმუმ 23 ადამიანი შეირჩევა. 2002 წლის სამ გამარჯვებულს კი სპეციალურად მიიწვევენ მართონის დასვენით ეტაპში მონაწილეობის მისაღებად. ნაწარები ჩვეულებისამებრ დამოფრული იქნება.

მეტი ჯერჯერობით ახა გითხრათ, ისლადამრჩენია, ყველა მონაწილე წარმადება, კარგი ამინდი და ზურგის ქარი ვუსურვო, და რაც მთავარია, ზღვის ავადმყოფობამ არ შეგაძინოთ.

თანამედროვე რომანის „პარნასული“ პრაქტიკა

თომას ბერნჰარდის "სარდაფი" ქართულად

"ჩვენ ყველას ერთნაირად გვაქვს მისჯილი ეს ცხოვრება, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუდამოდ სიკვდილმისჯილი ვართ. მაგრამ, რომელი დანაშაულისთვის - არავინ იცის, ან იქნებ სულაც არანაირი დანაშაული არ მიგვიძღვის, ან იქნებ მომავალში დავაშავებთ რაიმეს და მერე ჩვენს გამოსხვებით დასჯებიან. ჩვენ საკუთარი ნებით არ მოვსულვართ ამ ქვეყნად - უცბად, ჩვენად უნებურად დაიწყო ჩვენი ცხოვრება და მთელი პასუხისმგებლობა დაგვეკისრა."

თომას ბერნჰარდი

ჩვენთვის ყურბან საიდის რომანის "ალი და ნინოს" მთარგმნელად არის ცნობილი, ავსტრიელი თანამედროვე მწერლის, თომას ბერნჰარდის რომანის - "სარდაფის" ქართულენოვანი ვარიანტი წარმოგვადგინა. ნინოს მზის სინათლე-

ზე გამოქანა გამოცემლობა "არილმა" ითავა, ხოლო ნაწარმოები მთარგმნელს გადაცნო და მიაწვდინა ავსტრიულმა ბიბლიოთეკამ, რომელიც საქართველოში მესამე წელსადაა არსებობს. გამოცემა ხელშეწყობდა სიაშა ორგანიზაცია "კულტურ-კონტაქტ აუსტრიაც".

თავად თომას ბერნჰარდი ქართველებისთვის ნაკლებადაა ცნობილი (გაშინებული გერმანისტიც კი, ქ-ნი წელი ამაშუკული გამოიძვრება, - ამ მწერლის არ ვიცნობო). მისი რომანი - "სარდაფი" მწერლის ავტობიოგრაფიულ ფაქტებს ასახავს და ქართველი მკითხველისთვის უჩვეულო სტილშია დაწერი-

ლი. როგორც მთარგმნელმა გვითხრა, - რომანში აბზაცები, თითქმის, არაა და ორიგინალში წინადადებები იმდენად ვრცელი გახლავთ, რომ მათი გადმოქართულება საკმაო სიმწელებს წარმოადგენდა. ნაწარმოების გამორჩეული რიტმი, ალბათ, ავტორის მუსიკალური განათლების დამსახურებაა. ნინოს რედაქტორის, ნინო ბაქანიძის აზრით, მათა მირიანაშვილმა ამ და სხვა სირთულეებსაც შესანიშნავად გაართვა თავი. თარგმანში შენარჩუნებულია ნაწარმოების დენდისიული სულის და სტილი და თან - ქართულ ენას მორგებულად.

მაია მირიანაშვილის თქმით, ამ

რომანის გადმოქართულების სურვილი მას ნაწარმოების წაკითხვისთანავე გაუჩნდა. "იცით, რა მომწონს ყველაზე ძალიან ამ ნაწარმოებში? - სამყარო, რომელიც თომას ბერნჰარდმა დაგვიჩვენა, ძალიან მაკონებს დღევანდელ საქართველოში ადამიანის ყოფას, რომელიც ყველამ დაივიწყა. ბერნჰარდი იმ დასკვნამდე მიდის, რომ როგორც უნდა ვიცხოვროთ დღეამინაზე, ჩვენს ყოფას მინც ბედისწერა განსაზღვრავს და დაბადებისთანავე სიკვდილისკენ მივინწრაფით, მიუხედავად იმისა, ვინ როგორ გაივლის ცხოვრებისეულ გზას," - გვითხრა

მთარგმნელმა. თავად მაია მირიანაშვილი კი ცხოვრებისეულ გზაზე ცნობილმა გერმანისტიმ, ბუბა ყარალაშვილმა გაიყვანა. მაია დღეს გარდაცვლილი პედაგოგის საქმეს აგრძელებს. პარნასში ყოფილი გერმანისტიკის თვალსაზრისით, მანდილოსნები, ჩვეულებისამებრ, დაახლოებით, 40 წლის შემდეგ იწყებენ მწერლურ თუ მთარგმნელობით მოღვაწეობას. მაია მირიანაშვილმა ამ საქმეს უფრო ადრეულ ასაკში მოჰკიდა ხელი, რაც გვაიმედებს, რომ მკითხველი ხშირად იქნება განებივრებული მისი ახალ-ახალი, მშვენიერი თარგმანებით.

კელტური მუსიკის თბილისური სიბილი

ვერა ნაფარიძე

გუშინ განსაკუთრებული საღამო იყო "კლუბ 22"-ში. განსაკუთრებული როგორც კლუბის მებატონეების, მისი სტუმრების, ისე თავად მასპინძელისთვის. ახლა შევეცდებით დავასაბუთო ჩემი ნათქვამი: ჯერ ერთი, არა მგონია კელტური მუსიკის საღამო "კლუბ 22"-ში კი არა, სადმე თბილისში ოდესმე გამართულიყო. მითუმეტეს, ისეთი რემერტურითა და შესრულებით, როგორც ეს გუშინ მაღი სერებრიაკოვამ შემოგვთავაზა. ამ ფაქტით შეუძლიათ კლუბის მებატონეებმა თამამად იამაყონ. კონცერტი განსაკუთრებული იყო მსმენელისთვისაც, ვინც შემთხვევით თუ განგებ მიაკითხა ზანდუკელის 22-ს - მათ ხომ მაღი აღმოაჩინეს; დაბოლოს, ეს კონცერტი დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვანი იყო თავად ახალგაზრდა მომღერლისთვისაც, იგი ხომ ასეთ ამბულაში (გვულისხმობ რილანდიური ფოლკლორული გამოცდას) პირველად გამოჩნდა სცენაზე.

არ ვიცი რილანდიურ ფოლკს ჰყავს ჩვენში ამდენი გულშემატკივარი თუ მაღის (ალბათ, ორივეს ერთად), მაგრ-

ამ ფაქტია, რომ "კლუბი 22" გუშინ სტუმრებს მართლაც ვერ იტყვია. გულშემატკივართაგან ზოგიერთი, ვინც ხალხმრავლობასა და სიცხეს ვერ უძლებდა, გარედან უსმინდა კონცერტს. გუშინდელი აუდიტორიით თუ ვიმსჯელებთ, თბილისში კელტური მუსიკის თავყვანისმცემლებს შორის იყვნენ: "სოფთები", Appendix-ის ორგანიზატორები და გამოფენის უცხოელი მონაწილეები, კლუბის მუდმივი სტუმრები, რასაკვირველია მაღის ახლობლები და ერთი-ორი ირლანდიური ფოლკლორის ნამდვილი გულშემატკივარი. მუსიკის გარდა, კელტური კულტურის მოყვარულებისთვის საჭირო განწყობას ირლანდიური ყავაც ქმნიდა, რომელიც გუშინ კლუბში საგანგებო ფასდაკლებით იყიდებოდა. ყველაზე მთავარი კი, რასაკვირველია, მუსიკა იყო. ამ მხრივ კლუბში სიტუაცია მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

მათ, ვისაც ახსოვდა მაღი სერებრიაკოვას და "სოფთების" რამდენიმე ერთობლივი საკონცერტო გამოსვლა, ახალგაზრდა შემსრულებლის გუშინდელი ფორმა დიდად მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო; მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც ეს კონცერტებიც ახსოვ-



კელტური ფოლკლორის ქართული შესრულებით - მაღი სერებრიაკოვა

და, მაღის ერთ-ერთი ბოლო პროექტი, "სამებას" ჩანაწერებსაც კარგად იცნობდა, მაგრამ მაინც ამტკიცებდა, დღეს მაღი სხვაგვარად აღმოვაჩინო. რას იზნა, ჩვენად სასიხარულოა, აიო-ან შემსრულებლები, რომლებიც ინტენსიურად იზრდებიან და იხევენებთან. როგორც გუშინ დავრწმუნდით, ერთ-ერთი მათგანი მაღი სერებრიაკოვაა.

პროექტ "სამებაში" მონაწილეობის შემდეგ მაღიმ, ახლახანს მოსკოვში მონაწილეობა მიიღო ფესტივალში New Wave. ყოველწლიური ფესტივალის მიზანი ახალი სახელების აღმოჩენა და მათი პრომოუშენია. თავიდან ამ ფესტივალში მაღის მონაწილეობაზე ყოყმანობდა - აქ "პასაჟიკები" გეყავს და შინ ადგილი არ არისო. საქმე იმაშია, რომ არც მაღის უსაროდა დიდად მათ მარაქში გარევა, მაგრამ რას იზნა, მოსკოვია, თბილისთან შედარებით დიდი ქალაქი, მუსიკალური ინდუსტრია მეტად განვითარებული, მეტი შანსები და ა.შ. მითუმეტეს, რომ ფესტივალს გამოცდილი პროდუქტებიც ესწრაფებოდა, ერთი სიტყვით, ახალგაზრდა დამწყები მუსიკოსისთვის მასში მონაწილეობა ურიგო ნამდვილად არ არის.

გვიანი გაზაფხულის მერცხლები

კავკასიური ფესტივალი ალტერნატიული მუსიკის მოყვარულებისთვის

ვერა ნაფარიძე

"მერცხლები გაზაფხულზე ბრუნდებიან", - მესუთე წელსადაა ასეთი ოპტიმისტური სახელწოდებით თბილისში ალტერნატიული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი იმართება. აქამდე ფესტივალი აპარტულბდა თავის სახელწოდებას, რასაც წლებგანდელ ლონისძიებზე ნამდვილად ვერ ვიტყვი. 1999-2000 წლებში თბილისში რამდენიმე დღის განმავლობაში ფესტივალზე სხვადასხვა ევროპული და კავკასიური ჯგუფები გამოდიოდნენ. ასეთი საამოებრება თბილისელ ალტერნატიული მუსიკის მოყვარულებს წელს არ ელით. ამჯერად ფესტივალში მოკრძალებული სახით გაიმართება - ის დღეს ოთხ საათზე დაიწყება და, სავარაუდოდ, დღესვე შუალაბით დასრულდება. რაც შეეხება მონაწილეებს, ძველი კინოსტუდიის პავილიონის სცენა ამჯერად მხოლოდ კავკასიელ მუსიკოსებს უმასპინძლებს.

ფესტივალი "მერცხლები გაზაფხულზე ბრუნდებიან" ლადო ბურდულის პირშია. თავად მუსიკოსი "მერცხლებისა" და "რთველის" (ფესტივალის სამომდგომო ლონისძიება) ისტორიას კიდევ უფრო შორიდან იწყებს. ლადო ბურდულის თქმით, ეს ფესტივალი ჯერ კიდევ 1995 წელს დაიბადა, როდესაც ქვეყანაში დაწყებულ ხელოვანთა ემიგრაციას ქართველი მუსიკოსი კონცერტების სერიით დაუპირისპირდა. ამ კონცერტებმა ფესტივალის სახელოდება ოფიციალურად 1999 წელს მიიღეს. "ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსების საქართველოდან ნასვლა ახლაც გრძელდება. ჩემი ფესტივალის მიზანი იყო წარმოგვეჩინა ის დარჩენილი კონცერტები თუ შემსრულებლები, ვინც ყურადღების ღირსი იყო. გავცეცხო ისინი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მსმენელისთვის" - ასე ხსნის თავად ქართული ალტერნატიული მუსიკის პიონერი ლადო ბურდული ფესტივალის იდეას. ოთხი წლის წინათ, პირველი ფესტივალი საკმაოდ შთაბეჭდილი და, მართლაც, ალტერნატიული გამოვიდა.

მაშინ ლადო ბურდულს ლონისძიების ორგანიზებაში თბილისში მოღვაწე ინტელექტუალური ბარნაბი დავებდა. ფესტივალი "პეროვსკაია" რამდენიმე ბარში მიმდინარეობდა. ხოლო შემოდგომაზე ფესტივალი გავრცელდა და მას სახელწოდება წელიწადში დროის მიხედვით, "რთველი" შეეცვალა. პირველი "რთველი" საკმაოდ მოსავლიანი გამოდგა - ფესტივალში კავკასიელებთან ერთად რუსი და ინგლისელი მუსიკოსებიც გამოდიოდნენ. ფესტივალმა მიიპყრო MCM-პარისისა და MTV-ის მოსკოვის ოფისის ყურადღება.

უკვე 2000 წლიდან ფესტივალის კონცეფცია რაღაცნაირად გაიკვავა. ძირითადად, უფულობისა და უსპონსორობის გამო, გადაწყდა, სავაზაფხულო ფესტივალის ("მერცხლები გაზაფხულზე ბრუნდებიან") მონაწილეთა შემადგენლობა კავკასიის რეგიონით შემოფარგლულიყო, სამაგიეროდ, "რთველი" იქნებოდა უფრო მასშტაბური და გრანდიოზული. ასე გრძელდება დღემდე - ფესტივალის ძირითადი ბიუჯეტი სამომდგომო ლონისძიებაზე დაეგმილი დასავლელი სტუმრებისთვისაა გათვლილი. ამიტომაც, რომ წელსაც "მერცხლები გაზაფხულზე ბრუნდებიან" მხოლოდ ქართველი, ჩეჩენი, სომეხი და აზერბაიჯანელი ალტერნატიული მუსიკოსების მონაწილეობით იმართება.

ეს ფესტივალი ერთადერთია კავკასიის რეგიონში, რომელიც პერიოდულად დასავლური მედიის ყურადღებას იპყრობს. წლების განმავლობაში ფესტივალთან თანამშრომლობს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ავტორიტეტული მუსიკალური ტელეარხი MCM. ხოლო, ფესტივალის ავტორიტეტს რაც შეეხება, ოთხი წლის განმავლობაში, ორგანიზატორებმა შეძლებისდაგვარად მოახერხეს, რომ თბილისური ალტერნატიული მუსიკის ლონისძიების შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია შეეღწია უცხოეთის მუსიკალურ წრეებში. ფესტივალს ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ესწრება რუსული პანკ-როკის სახე, ალექსანდრე სკლიარი საკუთარ ჯგუფთან "ვა-

ბანკთან" ერთად; ფესტივალის ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო სამი წლის წინათ ლონდონური Wob-ის მონაწილეობა. სხვათა შორის, იმასაც შეცხატებთ, რომ სწორედ ამ ფესტივალზე გაიცნო ფართო საზოგადოებამ "ინსათი" ნინო ქუთამაძესთან ერთად.

ლადო ბურდული ფესტივალის აღმორჩენელ დღევანდელ კონცერტზეც

გვიპრდება. განსაკუთრებულ იმედებს ორგანიზატორები ღილოვლი მუსიკოსების ჯგუფზე "მონოპლანი" ამყარებენ. განმარტდება თუ არა მათი მოლოდინი, ამაში დარწმუნება თქვენც შეგიძლიათ - კონცერტი "ძველი კინოსტუდიის პავილიონში" დღის ოთხი საათზე დაიწყება და პროგრამას თუ ვენდობაში, მას ერთი ძველი თბილისური ჯგუ-

ფი "მემემტო მორი" გახსნის. დაგეგმილია რამდენიმე ჩვენთვის სრულიად ახალი ჯგუფის გამოყვანა. მათ შესახებ ფოტო, კონცერტის შემდეგ ვისაუბროთ. ნაცნობებიდან კი აღსანიშნავია, თავად ლადო ბურდული, რომლის გა-მოსვლა სავარაუდოდ ფესტივალის ერთ-ერთი აკორდი იქნება; კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ: ბაკ-

ურ ბურდული, ბაჟუ, "აუტსაიდერი", შედარებით ახალი "იანგ ჯორჯიან ლოლიტას", გია თოიძე ("ამირალის" ყოფილი ლიდერი), "პესტ პისტორი" და დი-ჯეი ფორტუკა (გიორგი ფორტოლიანი). მათ ვისაც მსგავსი მუსიკა და სიტუაცია აინტერესებს, არა მგონია ფესტივალზე მოხვედრა გაუჭირდეს - მიღების ფასი სულ რაღაც ხუთი ლარია.

პირველად საქართველოში!

პროექტის მენეჯმენტს ახორციელებს სელონების მენეჯერთა კავკასიის ქსელი

აზიური ინვესტიციები

MACH INVESTMENT

თბილისის ქალაქის სანაპირო სამსახური
იზაბელის სამსახური ადმინისტრაცია
ქუთაისის აქტივი და სანაპირო

საავტორი კონსერტი

ლევან შენგელია

შაპარია ფაღიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

21 მაისი 2003 წელი. 19 საათი

პროექტის პრომოვარი: მიორაი მორიაშვილი

შეავსეთ ანკედა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ ბარკვევით. გლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, განეხილოს თუ არა მონაწილეობას შიშვენი "ხალხის პირისპირ". თქვენი შედეგების შედეგად, დამატებითი გადასახადების კომპლექსური ამ ანკედის შედეგით თქვენ ეთხრობებით შიშვენი "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკედა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიზორიანა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორიანისთვის "ხალხის პირისპირ" შიშვენიან ანკედის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკედა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ ახალი)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

პროფესია:

ასაკი:


საშუალო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მითითებით კატეგორია, რომელიც სარგებოდათ, შეგიძლიათ აირჩიოთ ნა-ბიშვილი, მშობლები, სხვადასხვა კლასი "არსებულ" ან ძველით მშობლებს დახმარებით, ან ნა-იხილ მშობლებს შიშვენი, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ ახალი)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისათვის თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს?

გიყვართ თუ არა მომგებლობა? (თუ გიყვართ საბავშვო ბავშვი და ახლ?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისუბრებდით შეხვედრას, სად და როდის?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად და როდის მოგწონდათ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რაღაც შეცვლა საკუთარ გარემოებას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მხარე და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაძვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაც მოგწონთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატივის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტყვებთ და თავად გაძვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიწოდებთ ან გავიკეთებთ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს უგაგნებთ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და როგორია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაძვთ ან გქონდათ თუ არა რაღაც მატარებელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადავლოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ადგილებზე?)

გაძვთ თუ არა ურვეულო ნიჭი? (გადავლოთ, შეგიძლიათ თუ არა სტაბილური ხმარების "მხმარის სწავლის" შესრულება, ან აკრძალული მარტივი ფუნქციების გაძვთ?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თავაში?

ურვეულო ან სინტეზის რამ თუ გადაგხდინათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი საშუალო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

Fox Kids

ოზურბათი, ისანი და სამგორი



ისანი პოლანდიაზე ოცნებობენ

საქართველოს სტადიონებზე გრძელდება "ფოქს კიდის" გათამაშება. გუშინ გამარჯვებულები ისანსა და სამგორში გამოვიდნენ. ისნის რაიონული ტურნირის ფინალში "ჩემპიონი" და "აიასი" უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ "აიასს" დარღვევები აღმოუჩინეს და ტურნირის ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, ის შეფიქრებინებინათ. ასე რომ, გამარჯვება და, შესაბამისად, თბილისის ტურნირში ასპარეზობის უფლება "ჩემპიონსა" მოიპოვა.

სამგორის რაიონის ფინალურ მატჩში "შეგარდენი" და "ჯემალი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. "ჯემალის" ფეხბურთელებმა თავიდანვე აგრესიული თამაში შესთავაზეს მეტოქეს, უპირატესობა მოიპოვეს და თამაში ლოკალურ გამარჯვებამდე მიიყვანეს - 4:1 "ჯემალის" სასარგებლოდ.

ინფორმაცია

ჩოგბურთი. "დიდი სლეისი" ტურნირების თოთხმეტჯგის გამარჯვებული, ამერიკელი პიტ სამპაისი საფრანგეთის ლია ჩემპიონატს და უმბრლინს გამოტოვებს. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა "Los Angeles Times"-მა. ჩოგბურთელის თქმით, ახლა ის ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შეუძლია, მთელი დრო ვარჯიშს დაეთმოს, სხვახარად კი წარმატების მოპოვება შეუძლებელია.

ფორმულა 1. "ფერარის" ახალ ბოლიდს ჯერ კიდევ სრულად არ გამოუვლენია თავისი შესაძლებლობები. ამის შესახებ გუშინ განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმხერმა. მისი თქმით, ახალი ბოლიდი იმაზე სწრაფია, ვიდრე ეს რბოლისას გამოჩნდა. აქედან გამომდინარე, მეტოქეებს ჩვენი დამრეგებლის ძალიან მეორე მხანი რჩება.

ფორმულა 1. გუშინ უნგრეთის სპორტულ საქმეთა მინისტრმა გიორგი იანოშმა განაცხადა, რომ მათი თანამშემუღველო ქოლჯი ბაუმგარტნერი "ჯორდანიის" საჯინიბოს ახალი ტესტ-პილოტი გახდა. საჯინიბოს შეატარების ველი ჯორდანიის ცნობით, 22 წლის ბაუმგარტნერი, რომელიც აქამდე F3000 კლასის რბოლებში გამოდიოდა, გერმანიისა და უნგრეთის გრან-პრის ნინ პარსკეის თასისთვის უპირატესობა გაივლია. "ჯორდანიის" საჯინიბოდან იმასაც იტყობინებთან, რომ ახალი მოზავალი ჩვენი იარაღი იანისის სახით მეორე ტესტ-პილოტსაც შეიძენენ.

ოლიმპიზმი. რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველთა რიცხვი. მადრიდის, ნიუ-იორკის, მოსკოვის, ლიუცი-გის, პეკინის შემდეგ გუშინ თავისი კანდიდატურა წამოაყენა იონდონმა. თავდაპირველად ინგლისელები ვარაუდობდნენ, რომ ქალაქი ვერ შენდებოდა, ხოლო მასშტაბური ტურნირის მოწყობისთვის საჭირო თანხებს, თუმცა, კანდიდატურის წამოყენება მას შემდეგ გადაწყდა, რაც ოლიმპიურ კომიტეტს სახელმწიფომ აღუთქვა დახმარება.

ოლიმპიზმი. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის (სოკი) აღმასრულებელი კომიტეტის 15-17 მაისის სხდომაზე დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ალბერტი პრევიონია და 2004 და 2008 წლების ოლიმპიურ თამაშებზე მისი შესაძლო გავლენა. ამ საკითხთან დაკავშირებით აღმასრულებელი კომიტეტი სადისკუსიოდ ესაუბრეთ დედამამუღველო შეიკრება. სასიკვდილო დაავადებამ, რომელიც, ძირითადად, აზიაში მძიმეობს, რეგიონის სპორტულ კალენდარში არაერთი კორექტივი შეიტანა. ჩინეთს, უსაფრთხოების მიზნით, ჩამოართვის ქალ ფეხბურთელთა და ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლობის უფლება. ატლანტიკური ზღვისპირა 2008 წელს პეკინში გასამართ ოლიმპიური თამაშების სამარკეტინგო კამპანიისთვის იქონია გავლენა. გადავადდა "პეკინი-2008" სარეკლამო აქციები. რაც შეეხება ათენის ოლიმპიურ თამაშებს, საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის იოანა ანგელალოპულის-დასკალას განცხადებით: "ჩვენი მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საერაშინეთის ხელისუფლებასთან და სოკი-თან. თვალყურს ვადევნებთ მიმდინარე მოვლენებს და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან დირექტივებს ვიღებთ".

TV-სპორტი

შაბათი. 17 მაისი

HTB + ФУТБОЛ
13:00 თელისუფალი დარტყმა
13:15 მილიონის ჩემპიონატი. "შერიფი" (ტირასპოლი) - "ზიმბრუ" (კიშინიოვი)
15:00 "პოსტსკოპი" (პოსტოპოლი)
15:30 სერია A. 33-ე ტურის წინ.
16:00 "ვაიტიანი"
16:15 ვალერი ლობანოვსკის სახელობის ტურნირი. ფინალი
17:55 "Football Mundial"
18:25 გერმანიის ჩემპიონატი
20:20 თავისუფალი დარტყმა
20:40 "ფეხბურთი ა-დან ნ-მდე"
21:10 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. პირველი მატჩი
22:30 გერმანიის ჩემპიონატი
0:25 ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი

15:15 პოკერი. "One Million Poker-2003". ფინალი
16:00 ჩოგბურთი. ATP. პამპურგი. ნახევარ-ფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი
20:00 რუსეთი-აშშ. ბრძოლა წესების გარეშე
22:30 ჰაღდინტონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალი
00:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი
2:30 ცხენოსნობა

EUROSPORT
11:30 სპორტული თავგადასავლები
12:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი
14:00 კრივი. სპეცგამოშვება
15:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
17:30 ჩოგბურთი WTA. პირველი ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია რომიდან
19:00 ველორბოლა. ჯირო და იტალია. მე-7 ეტაპი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ჩოგბურთი WTA. მეორე ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია რომიდან
21:30 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი
23:30 კიკ-ბოქსინგი
2:00 ექსტრემალური სპორტის სახეობები
3:15 ძიულა. ევროპის ჩემპიონატი


HTB + СПОРТ
04:00 კალათბურთი. NBA. პლეი-ოფი. პირდაპირი ტრანსლაცია
11:00, 14:15, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შეილები"
11:20 აერობიკა
11:45 კალათბურთი. NBA. პლეი-ოფი.
14:30 "ფარი და ბურთი"

ფეხბურთი

ფიფას პრეზიდენტი თბილისს ეწვია

უმალესი საფეხბურთო ჩინი, ფიფას პრეზიდენტი, იოზეფ ბლატერი თბილისს ხანმოკლე ვიზიტით ეწვევა, თუმცა, ამ მცირე დროის მიუხედავად, საკმაოდ ბევრ შეხვედრაში და ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას.

ბლატერი თბილისში ერევნიდან, საკუთარი თვითმფრინავით 23 მაისს, 17 საათსა და 30 წუთზე ჩამოფრინდება და პირდაპირ სახელმწიფო კანცელარიაში, საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან შესახვედრად გაემშურება. ორი პრეზიდენტის ნახევარსაათიანი შეხვედრის შემდეგ ბლატერი სასტუმრო "მარიოტში" დაბინავდება, ხოლო საღამოს 8 საათზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მის პატივსაცემად გამართულ საზეიმო სადილზე ქართული სუფრის თავისებურებებს გაეცნობა.



იოზეფ ბლატერი ვიზიტისთვის მზადაა

სიზანეიშვილს სასტალი ბაუმკასრუს

სააპელაციო კომიტეტი ფეხბურთელებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით დამემქრა

მინილ აბიზვილი

თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მცველმა, ოთარ ხიზანიშვილმა, სფფ-ს (საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, - რედ.) სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის ლობიერი გადამწყვეტილების მიუხედავად, დისკვალიფიკაცია მაინც ვერ აიცილა თავიდან და დღეს ფოთის "კოლხეთთან" კალენდარული მატჩის გამოტოვება მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა, საქართველოს სპორტის აკადემიის რექტორის, იმარ გოგიაშვილის თაოსნობით, სამი დღის წინ განიხილა 11 მაისს "ვიტ ჯორჯიასა" და თბილისის "დინამოს" თამაშის დასრულების შემდეგ "შეგარდენის" სტადიონზე განვითარებული მოვლენების საფუძველზე მთავარი მსჯელის, კახა მესხის მოსტენებითი ბარათი. არბიტრი დინამოელებსა და კლუბის რამდენიმე წარმომადგენელს სიტყვიერი, ხოლო ოთარ ხიზანიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობაში ადანაშაულებდა. სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა იოზეფ ბლერის მოუსმინა და გამოიტანა ვერდიქტი, რომლის მიხედვითაც "დინამო" 1500 ლარით დააჯარიმა. ობიექტურად, კომიტეტს ხიზანიშვილი დისკვალიფიკაციით უნდა დაესაჯა. მაგრამ, მოგეხსენებათ, 11 ივნისს საქართველოს ეროვნულ გუნდს ირლანდიაში ოფიციალური მატჩი ელის მასპინძელთა ნაკრებთან. დისკვალიფიკაციით დასჯის შემთხვევაში ხიზანიშვილი უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ აუცილებელ სათამაშო პრაქტიკას დაკარგავდა. ამიტომაც, სადისციპლინო კომიტეტმა, ეროვნული ნაკრების ინტერესების გათვალისწინებით, ხიზანიშვილს მკაცრი ვაფრთხილება აკმა. თუმცა, დასჯის ასეთი მსუბუქი ფორმა მოულებლად მიიჩნია სფფ-ს ფეხბურთის განვითარების კომიტეტმა და ვერდიქტი სააპელაციო კომიტეტში გასაჩივრა.

სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარის, არევეან ლომიძის ხელმძღვანელობით, გუშინ განიხილა საჩივარი და სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის ვერდიქტი შესწორებით შეიტანა. კერძოდ, ხიზანიშვილს ერთმანეთს და სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაციასთან ერთად, 50-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა. იმ შემხვედრაში ორი ყვითელი ბარათით და მოედნიდან გაძევებით "თავამორჩენილ" ანზაბაქს, რომელიც ამის გამო "კოლხეთთან" ვერ ითამაშებს, სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია მიუბრუნდა და გამოიტანა ვერდიქტი, რომლის მიხედვითაც "დინამო" 1500 ლარით დააჯარიმა. ობიექტურად, კომიტეტს ხიზანიშვილი დისკვალიფიკაციით უნდა დაესაჯა. მაგრამ, მოგეხსენებათ, 11 ივნისს საქართველოს ეროვნულ გუნდს ირლანდიაში ოფიციალური მატჩი ელის მასპინძელთა ნაკრებთან. დისკვალიფიკაციით დასჯის შემდეგ "24 საათმა" კომე-

ნტარი სთხოვა არევეან ლომიძეს და "დინამოს" მმართველ დირექტორს დავით პეტრიაშვილს. არევეან ლომიძე: "ასეთი საქციელი არც ერთ ფეხბურთელს არ ემატება. ის, რომ ხიზანიშვილი ეროვნული გუნდის წევრია, სულაც არ მიმაჩნია შემამსუბუქებელ გარემოებად, პირიქით - ნაკრებში თამაში ნებისმიერ ფეხბურთელს გაცილებით დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. იმ შემთხვევაში, თუ ხიზანიშვილი მსგავს რამეს კიდევ ჩაიდინს, იგი უმკაცრესად დასჯება, შეიძლება, ფეხბურთის თამაში საბუნებრივად აკრძალოს კიდევ. კოლექტიური პასუხისმგებლობის დრო ნაფიდა. ყველამ ინდივიდუალურად უნდა ავსო პასუხი საკუთარ შეცდომებსა თუ დანაშაულებზე. ის, რაც იმ ინციდენტის დროს მოხდა, არასაფეხბურთო ვითარებაში საქართველოს კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით, 5 წელამდე თავისუფლების აღკვეთით დასჯება. ჩვენ ხელს არავის დაგვარებთ. თუ მსგავსი ხულიგნური გამოხდომები გამეორდება, არ გამოვრიცხავ, რომ მასალები რეაგირებისთვის შინგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებს გადაეუფლებოდნენ. როგორც ჩანს, საქართველოს სტადიონებზე გამეფებულ უმსგავსობებს სხვა გზით ვერ აღმოუფხვრით.

"დინამოს" ხელმძღვანელობას იმის რეკომენდაციაც მიეცია, რომ თავდასაჯოს ის ფეხბურთელები, რომლებიც მოედანზე უცენზურო სიტყვებს ხმარობენ. ამ გუნდში არის 3-4 ასეთი მოთამაშე და ისინი უნდა მიხედონ, რომ მათი მოქცევა არ შეიძლება."

დავით პეტრიაშვილი: "სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება სამართლიანად მიმაჩნია, თუმცა, სიმართლე გთხროთ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ გასაჩივრა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება ფეხბურთის განვითარების კომიტეტმა. არსებობდა იმის ალბათობა, რომ სააპელაციო კომიტეტს ხიზანიშვილი 4-მატჩიანი, ან სულაც ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაესაჯა. მომჩივანი კომიტეტი, თავისი დასახელებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ფეხბურთის განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს და არა მგონია, ისეთი ფეხბურთელის, როგორც ხიზანიშვილია, ხანგრძლივი ვადით დისკვალიფიკაცია ამ პროცესს შეუწყოს ხელი.

კიდევ ერთხელ ვიხსენი: სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილებას ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ "დინამო" მარტო მინდორზე არ უნდა გახდეს საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი. ეს გუნდი, მისი ტრადიციებიდან გამომდინარე, სტადიონის გარეთაც ქართული ფეხბურთის გამოცდილი ლიდერი უნდა იყოს და კლუბის ხელმძღვანელობა, ფეხბურთელებთან ერთად, ყველაფერს გააკეთებს ამისთვის."

ბარტეოს ხანა დამთავრდა?

ოლივერ კანი და "მანჩესტერ იუნაიტედი"

რეს, რაც უნდა პოპულარული იყოს ის. დევიდ სიმენი, ალბათ, მალე ფეხბურთიდან წავა. უკვე დროა, მოედნიდან ტრიბუნაზე გადაინაცვლოს და "არსენალის" კარის დაცვა ახალგაზრდებს აცალოს. აი, ფაბიან ბარტეოსისთვის კი ჯერ ცოტა ადრეა პენსიაში გასვლა. მას ხომ კიდევ დიდხანს სურს გრანდებში თამაში, ფერეიუსონი კი სათადარიგოთა სკამზე უპირებს გადასროლას. როცა "რეალმა" "მან იუ" ჩემპიონთა ლიგადან გამოაგდო, ბარტეოზი გასახდელში უღონოდ დაეწარცხა სკამს და სასონარკვეთილმა ამოიგმინა: "შე, ალბათ, ისე კარგად ვეღარ ვთამაშობ"... დიახ, ასეა, მუსი!

უკვე დიდი ხანია, ალექს ფერეიუსონი ვეღარ იტანს ბარტეოსს არაორდინარულ ქმედებებს. ინგლისურ პრესოში ჩემპიონის ტიტულებია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ზოგჯერ ერთიც და მეორეც ისეთ უაზრო შეცდომებს უშეგებენ, რომ არსენ ვენგერი და სერ ალექს ფერეიუსონი წამლებით მოსაბრუნებლები ხდებიან. არც შევედ სვენ გორან ერიქსონს დაადგა კარგი დღე, როცა გარშემო მიხედ-მოხედვა არ ისურვა, ძველი ტრადიციის ერთგული დარჩა და მსოფლიო ჩემპიონატზე, ახალგაზრდების ნაცვლად, ორმოცი მიღწეულ სიმენს ანდო ინგლისის ნაკრების კარი. ამდენ ნერვიულობას და გამეფებულ გოლს არავინ აპტივებს არც ერთ მქე-

ტრელებს მაინცდამაინც არც უაქტიურიათ. ფრეი ვერ ახალგაზრდაა, ნაკრებშიც კი არ ინევენ, მხოლოდ "პარმაში" თამაშს სჯერდება. როგორ უნდა შეცვალოს ასეთმა უსახელო მეკარემ ფერეიუსონის თანამშემუღველო ის, ვინც ბარტეოსის ადგოლს დაიკავებს, ფრანგის მსგავსად, სახელგანთქმული უნდა იყოს, თუ უფრო მეტად ავტორიტეტული არა. ასეთ პიროვნებას სერ ალექს ფერეიუსონმა ბუნდესლიგაში მიაგნო.

ოლივერ კანი თავისი იმპულსური ხასიათით, შეუპოვრობითა და ბრძოლისუნარიანობით იმ პერიოდის ბარტეოსს მოგვაგონებს, როცა ფრანგი შესანიშნავ ფორმაში იყო და მსოფლიო ჩემპიონის ნოდებისთვის იბრძოდა. მაშინ ბარტეოზი სულელურ კი არა, "ჭკიანურ" შეცდომასაც არ უშვებდა, გაფაცივიებული დარაჯობდა საფრანგეთის ნაკრების სიმშვიდეს. ოლივერ კანიც ასეთია. მოედანზე მას ბადალი არ ჰყავს. ის მხოლოდ მეკარე კი არა, გუნდის ლიდერია. მასზე უკეთ არავის შეუძლია ფეხბურთელების გაშენევა, ბრძოლის სურვილით ანთება. კარბული ხასიათი რომ არა, ოლივერ კანი სანიშნავ პიროვნებად იქნებოდა, მაგრამ ვაი, რომ საკუთარ გრძნობებს ვერ ერევა და ემოციების შეკავება უჭირს. სწორედ ამის გამო მუდამ უსიამოვნებებში ეხვევა - ხან სიჩქარის გადაჭარბებისთვის აჯარიმებენ, ხან -

სონსორების არად ჩადებისთვის, ხან - უადგილო ადგილას მანქანის გაჩერებისთვის. კანი საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევს, მიაჩნია, რომ მან გერმანიის ბეირი გაუკეთა და, თუ ერთხელ დასაშვებ ნორმაზე სწრაფად გააქრობის თავის "ფერარის", ამით ქვეყანა არ დაიქცევა. გერმანელები მის ასეთ გამოხდომებს უკვე ვეღარ იტანენ. კანონი ხომ ყველასთვისაა მოვლილი.

ბუნდესლიგას და "ბაიერს" კანი გულს ვეღარ უღებს. უკვე ყველაფერი მოვიგა და საზღვარგარეთ მინდა თამაში, - ჭირვეული ბავშვივით იბუტება "ოლი". "ბაიერსს" მისი გაშვება არ უნდა - კანის კონტრაქტი ბავარიულ კლუბთან ხომ 2006 წლამდე გრძელდება. ამის მიუხედავად, ალექს ფერეიუსონი უკვე ნმამალა ამბობს, რომ "მან იუს" კანის შექმნა უნდა. ინგლისური გაზეთი "დეილი მეილი" აცხადებს, "მანჩესტერი" კანთან მოლაპარაკების დაწყებას აპირებს. იმაზე რატომღაც არავინ ფიქრობს, რომ "ბაიერი" "ოლის" ასე იოლად არ დამთმოს. ცოტა ხნის წინ კარლ-ჰაინც რუმენიგემ კანი 85 მილიონ ვეროდ შეაფასა. ეს თანხა ინგლისელების შესანიშნავადაა დასახელებული. ვნახოთ, რამდენად გაუძლიერებს მადას "მან იუს" გერმანელების მეტად ძვირად ღირებული დელიკატესი.



გაეპატიშვებათ „ლაგუნა ვიკი“

ქილო

დიუსალდოროფი ქილოისტაზის დადებითად მოქმედებს

AI გვარდიანა

60 კგ წონაში, სადაც 22 ძიუდო-სტი გამოდიოდა, ნესტორ ხერგიანმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა: ბელგიელი სედრიკ ტამინი, იტალიელი ჯოვანი კარელა და ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. აქ ხერგიანს მოლდოველი ვიტალი მიხაილოვი ელოდა. ქართველმა ძიუდოისტმა ეს ბარიერიც იოლად გადალახა და ფინალში ბრიტანელ კრეიგ ფალონს დაუპირისპირდა, თუმცა, ფინალისტის კვალობაზე ალბონელს შესაბამისი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ხერგიანი თავიდანვე ეკვეთა მეტოქეს და კოკა აართვა. მერე ორი იუკო მოიპოვა და ჩემპიონიც გახდა.



ნესტორ ხერგიანი



დავით მარგოშვილი

ყენა ესპანელი ოსკარ პენასი და ბელორუსი ალექსანდრ შლიკიც. ნახევარფინალში კი ებრაელ ეკვეთა ვასთან მოუწია ურთიერთობის გარკვევა და აქაც გამარჯვებული გამოვიდა. სხვათა შორის, ებრაელი ძიუდო-ისტის თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილე გახლდათ და მარგოშვილმა იგი აქაც დაამარცხა. ვაკსთან გამარჯვების შემდეგ მარგოშ-

ვილი ფინალში ფრანგ ბენჟამინ დარბელეს შეხვდა. პირველ წუთებზე ბრძოლა თითქოს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მერე და მერე მარგოშვილმა ორთაბრძოლა გააძაფრა და როდესაც გვეგონებოდა, მარგოშვილმა დაამარცხა. ერთი სიტყვით, ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს სამივე ხარისხის მედალს დავეუფლეთ.

ალკონიზი

ევერესტი შვოთავს, ევერესტი ბორბავს

ბიზა ბარსაპვილი

ევერესტის "ფერდობებზე" აღმადგინა "მოხეტიალე" ბიძინა გუჯაბიძე ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება მწვერვალს. მწვერული ამინდი რომ არა, რუსული ექსპედიციის "თავდასავლის მაძიებელთა გუნდ ალპინდუსტრის" წევრებთან ერთად უფრო ახლოსაც იქნებოდა მიზანთან. ევერესტზე მძვინვარე ქართველის გამო გუჯაბიძე და კომპანია იძულებულია, გამოადარებას დაელოდოს და შემდეგ იერში მიიტანოს. ექსპედიციის ხელმძღვანელის ალექსანდრ აბრამოვის დღიურებიდან შევსტყვევით, რომ მთასვლელებს აკლიმატიზაციის პროცესი დასრულებული აქვთ და პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში ჩრდილო უნაგირზე გამავალი მარშრუტით მწვერვალისკენ გაემართებიან.



საშუალოდ ბანაკში უამინდობა

ლებელ გადარჩენილ საგნებს. ჩვენი ბიჭები უნაგირზეც "გათხრებს ანარ-მოუბენ" და ახალ-ახალ ნივთებს პოულობენ. გეგმისამებრ, ხვალისთვის 7 500 მეტრზე გასვლას ვაპირებთ. ამავე სიმაღლეზე შერპები ამჟამად ზარვის აზიდვით და 7 900 მეტრზე ბანაკის გაშლათ არიან დაკავებული. 7 900 მეტრზე ბანაკის გაშლას 26 აპრილიდან ვცდილობთ. ჯერჯერობით, არც ერთ სხვა ექსპედიციას 7 500 მეტრზე მალა ბანაკი არ გაუშლია. საშუაზაროდ, ამინდი ნამდუზუნ იცვლება. საშუალოდ ბანაკში ცხრა კაცმა მოიყარა თავი. ექსპედიციის სამი წევრი კი უნაგირზეა.

8 მაისი
უკეთეს დღეს ვერ ინატრებს კაცი. საშუალოდ ბანაკს რომ მივუახლოვდით, აღმოვაჩინეთ, რომ ცხვირი მქონდა მოყინული; მომეცინა თითქმის ფეხზეც და ხელზეც. რის ვი-ვაგვალბოთ ბანაკამდე მივალნი. ბიჭები მომცვიდნენ. ცდილობდნენ, მფარმარებოდან გამოვეყვანე. როგორც იქნა, გამოვეცეთ. რაც შეეხება ქარიშხალს, საშუალოდ ბანაკში კარგების ნახევარი დაღვლევილია. უნაგირზე რომ ორი კარავი გვექონდა, საერთოდ განადგურებულია.

9 მაისი
6 000 მეტრზე ტემპერატურა დაახლოებით მინუს 14-16 გრადუსულია. ქარიც უბერავს. საბანაკო პრობლემა გვექვს იაკებთან დაკავშირებით - მოსაგვარებელია აღჭურვილობის სასიმალო ბანაკებამდე აზიდვა. კავშირი ვაკვს შერპებთან. მათი მეშვეობით ვიგებთ, რომ 7 500 მეტრზე კარგების კვლევიც კი არ ჩანს.

10 მაისი
მეორე დღეა, ზარალს ვითვლით და ვგვროვებთ სიცოცხლისთვის აუცი-

რად ვიღებთ და, უნდა ითქვას, რომ იგი ამართლებს. ღამით უნაგირზე ძლიერი ქარი უფერავდა - 20 მეტრი წამში (ამ დროს მწვერვალზე 52 მ/წ ქარი ქოლდა. - რეაქ) მცდილობა, ავსულიყავით 7 500 მეტრზე, კვლავაც წარუმატებელი გამოდგა. მალა მხოლოდ 100 მეტრის ავლა შევძელით და ძირს ცხვირმოყინულივით დაგბრუნდით. ერთადერთი სასარგებლო რამ, რისი გაკეთებაც შეეძლოთ ეს ექსპედიციის "ალპინდუსტრისა" და სპონსორთა დროშებით ევერესტის ფონზე სურათების გადაღება. ეტყობა, აკლიმატიზაციის პროცესი დასრულებულია. ახლა ამინდის "დაქარაზე" და მწვერვალზე ასვლაზე ვფიქრობთ. მზები ახლას, ჩინელები 17 მაისს აპირებენ ასვლას. პროგნოზის მიხედვით, 12-19 მაისისთვის ძლიერი ქარია მოსალოდნელი. მოუხედავად ამისა, ბევრი ექსპედიცია 17-18 მაისს აპირებს მწვერვალზე ასვლას. მოვილოცებანი. მეორე საძილვე იქვე ვიპოვეთ, ხოლო მესამე ესტონელთა ექსპედიციის წევრებმა მოგვეცეს. მოგვიანებით შერპმა კიდევ ერთი ტომარა მოგვიტანა. ერთი სიტყვით, ძებნაში ვართ.

12 მაისი
ამინდის პროგნოზს ყოველდღიუ-

რად ვიღებთ და, უნდა ითქვას, რომ იგი ამართლებს. ღამით უნაგირზე ძლიერი ქარი უფერავდა - 20 მეტრი წამში (ამ დროს მწვერვალზე 52 მ/წ ქარი ქოლდა. - რეაქ) მცდილობა, ავსულიყავით 7 500 მეტრზე, კვლავაც წარუმატებელი გამოდგა. მალა მხოლოდ 100 მეტრის ავლა შევძელით და ძირს ცხვირმოყინულივით დაგბრუნდით. ერთადერთი სასარგებლო რამ, რისი გაკეთებაც შეეძლოთ ეს ექსპედიციის "ალპინდუსტრისა" და სპონსორთა დროშებით ევერესტის ფონზე სურათების გადაღება. ეტყობა, აკლიმატიზაციის პროცესი დასრულებულია. ახლა ამინდის "დაქარაზე" და მწვერვალზე ასვლაზე ვფიქრობთ. მზები ახლას, ჩინელები 17 მაისს აპირებენ ასვლას. პროგნოზის მიხედვით, 12-19 მაისისთვის ძლიერი ქარია მოსალოდნელი. მოუხედავად ამისა, ბევრი ექსპედიცია 17-18 მაისს აპირებს მწვერვალზე ასვლას. მოვილოცებანი. მეორე საძილვე იქვე ვიპოვეთ, ხოლო მესამე ესტონელთა ექსპედიციის წევრებმა მოგვეცეს. მოგვიანებით შერპმა კიდევ ერთი ტომარა მოგვიტანა. ერთი სიტყვით, ძებნაში ვართ.

რად ვიღებთ და, უნდა ითქვას, რომ იგი ამართლებს. ღამით უნაგირზე ძლიერი ქარი უფერავდა - 20 მეტრი წამში (ამ დროს მწვერვალზე 52 მ/წ ქარი ქოლდა. - რეაქ) მცდილობა, ავსულიყავით 7 500 მეტრზე, კვლავაც წარუმატებელი გამოდგა. მალა მხოლოდ 100 მეტრის ავლა შევძელით და ძირს ცხვირმოყინულივით დაგბრუნდით. ერთადერთი სასარგებლო რამ, რისი გაკეთებაც შეეძლოთ ეს ექსპედიციის "ალპინდუსტრისა" და სპონსორთა დროშებით ევერესტის ფონზე სურათების გადაღება. ეტყობა, აკლიმატიზაციის პროცესი დასრულებულია. ახლა ამინდის "დაქარაზე" და მწვერვალზე ასვლაზე ვფიქრობთ. მზები ახლას, ჩინელები 17 მაისს აპირებენ ასვლას. პროგნოზის მიხედვით, 12-19 მაისისთვის ძლიერი ქარია მოსალოდნელი. მოუხედავად ამისა, ბევრი ექსპედიცია 17-18 მაისს აპირებს მწვერვალზე ასვლას. მოვილოცებანი. მეორე საძილვე იქვე ვიპოვეთ, ხოლო მესამე ესტონელთა ექსპედიციის წევრებმა მოგვეცეს. მოგვიანებით შერპმა კიდევ ერთი ტომარა მოგვიტანა. ერთი სიტყვით, ძებნაში ვართ.

კალათბურთი

13 მაისი

ჩვენც დავილაღეთ და, ალბათ, თქვენც დავალაღეთ საბაზონად საშუალო ბანაკებში ჩვენი მომთაბარეობით. მაგრამ, რას იზამ, ასეთი კლასიკური ექსპედიციები ევერესტზე. თავის გასამართლებლად იმას ვიტყვი, რომ არც ერთ ექსპედიციას 7 700 მეტრზე მალა ფეხი არ აუღვამს. პროგნოზის მიხედვით, კარგი ამინდი 22 მაისს შემდეგა მოსალოდნელია. ახლა კი ძლიერი ქარი ხელს ავშლის. გვემების დაწყობას აზრი არა აქვს - შეუძლებელია. ერთი რამ კი ცნობილია: მინ დასაბრუნებელი ბიულეთი 2 ივნისისთვის გვექვს. დროში რომ ჩავეტვიოთ, 26 მაისს, საშუალოდ და სბაზო ბანაკში უნდა დავეშვათ. ვფიქრობთ, ასეთი რამ არაარეალურია. გუნდის წევრთა უმეტესობა მზადაა, თარიღი გადავივდეს. 17 საათისთვის ექსპედიციის ხელმძღვანელთა თავყრილობაა. ჩინელები 8 300 მეტრზე მალა თოკების გასაძებლად ძაღვების გაერთიანების ნინადადებით გამოვიდნენ. ექსპედიციითა ერთმა ნაწილმა ამისთვის 16 შერპი გამოყო. მთლიანობაში სულ სამი შერპი ვყავს და ამიტომაც პრობლემაურების სახით 200 დღიური გამოყვავით. საშუალოდ ითვს.

14 მაისი
ქარიშხლის გამო უნაგირზე მალა ასვლა და 8 300 მეტრზე ბანაკის დადგენა ვერ მოახერხეთ. გუნდის გუჯაბიძე, ელაგინი და კომანჩიკოვი 7 500 მეტრზე დაეშვნენ. დაახლოებით საათნახევარი კარავს დგამდნენ. მთელი ღამე არ უძინებთ. კარვის კუთხეებს ტანით აკავებდნენ.

დღეს უფრო გაძლიერდა ქარი. ზევირ ალარავინ ნასულა. შერპებიც კი უამინდობის მიუხედავად, ექსპედიციები ევერესტზე ასვლას 17, 18, 19, 20 მაისს გეგმავენ. საშუალოდ ბანაკში კარგები ისევ ფრთხილ იქნენ.

15 მაისი
ქარიშხალმა ისევ მოგვტაცა ტყუალეტი. წელულს აქ, მართლაც, უჩვეულო ამინდობაა. შერპები ამბობენ "მულენ რუსესა" და "ლიდოს" არ ჩამოუვარდნა. კაროლინი ამ კაბარეში ყველას უყვარდა. "ის კეთილი და გულსსმბიერი, არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მოცეკვავს მისთვის დახმარება ეთხოვოს, მას კი უარი ეთქვას. ყოველთვის მზად იყო, ნებისმიერს ნაცვლად ეცეკვა, თუ ვინმეს რაღაც მიზეზების გამო არ შეეძლო კაბარეში მისვლა. ის ბევრს შუამობდა და იცოდა, რაც უნდოდა. ამიტომაც მთელმა ასეთ დიდ ნარმატებსას" - იგონებს კაროლინის ექს-მეფე მადამ სლოვი. ახალგაზრდა ბალერინა მალე ძალზე პოპულარული გახდა. ამ სლოვის ცეკვის თეატრში მიიწვიეს. პარიზში თვეში 4000 ევროს უხდოდნენ, ამერიკაში უფრო დიდი ანაზღაურება აქვს. ბორისს მაშინ გაიცნო, როცა მისი თეატრი გასტროლებზე იყო გერმანიაში. "ჯერ მონონებმა იყო, შემდეგ - დიდი სიმპათიები. ახლა ბორისი უკვე შეგვარებულია", - ამბობს ბეკერის ერთ-ერთი მეგობარი.

ბორისის ახალი მეგობარი გოგონა ყველას მოსწონს. კაროლინი მშვიდი და ალერსიანია. ქერა და ცისფერთვალა ბორისისთვის უცებ გამოარჩევთ ამ მუქ, შავთმიან გოგონას. ბეკერის ზურგს უკან ჭორობენ, ბორისს უცნაური გემოვნება აქვს, მუდამ ეგზოტიკურ ქალებს არჩევს. საზოგადოებას ეს უკვე აღარ უყვარს. ბოლის და ბოლის, მთავარი ხომ სიყვარულია და არა კანის ფერი.



რატომ მოსწონს ქერა ბორისს შავბერბანი ქალები?



კაროლინი - ბეკერის ახალი ფავორიტი

როცა ყვითელ პრესაში ფილიპო ინძაგის, ფაბიო კანავაროს, ფრანჩესკო ტოტის ან კრისტინა ვიერის ამერულ თავგადასავლებზე ჭორობენ და ლეპორალობისათვის იმ ქალების სიას ჩამოაჭკვიებენ, ვისთანაც ამ მეტად სიმპათიურ ფეხბურთელებს ოდესმე ურთიერთობა ჰქონიათ, სრულიად ნორმალური რეაქცია მაქვს ხოლმე, რადგან ინძაგაც და ტოტიც, კანავაროც და ვიერაც ლამაზი მამაკაცები არიან და გასაცეხება, რომ მათზე ბეკერი გიყვება, მაგრამ დღემდე ვერ გამოგია, რთი მოაქვს თავი ბორის ბეკერს. მასზე უფრო შეუხედავი სპორსტმენი გერმანიას, მგონი, არც კი ჰყოლია. რა მოსწონთ ქალებს ბეკერის? წუთუ მხოლოდ პოპულარობა და ფული?

ეს ზაფრანასავით ყვითელი, თმა-წარბ-წამწამიანად ქერა, უფერული ჩოგბურთელი მუდამ ახერხებდა, ლამაზმანეტისთვის თავი მოეწონებინა და ჭორების საბაზსაც არცთუ ისე იშვიათად იძლიოდა. საზოგადოებამ ცოტა ხნის წინ ის ქალიც კი გაიცნო, რომელიც დამწყები ბორისის პირველი მეგობარი ყოფილა. 1985 წელს ბეკერი პირველად მონაწილეობდა უიმბლდონის ტურნირზე, მისი დასტურად ანდრეა კი ტრუზუნაზე იჯდა. მაშინ ორივენი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. ბორისს ხელზე ანდრეას ნაწუქარი ბეჭედი ეკეთა. ისინი მაშინ დაშორდნენ ერთმანეთს, როცა ბეკერი პოპულარული გახდა. ანდრეას არსებობის შესახებ აქამდე არავინ არაფერი იცოდა, ბორისის პირველი სიყვარული ყველას ეგონა ბენედიკტენ კურტენი, რომელთანაც ბეკერი ორ წელიწადს მეგობრობდა. შემდეგ იყო ჩოგბურთელი ზემი ნლით უფროსი ჰამბურგელი კარენ შულცი, რომელმაც სამი წელი გაატარა ბეკერთან. 1993 წელს კი ბორისი ეგზოტიკურ ბარბარას შეხვდა და დაქორწინდა კიდევ. ორი ვაჟი შეეძინა - ნოე გაბრიელი და ელიას ბალაზარი. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ უცებ საიდანღაც გამოტყვერა რუსი მოდელი ანეჟა ერმაკოვა და მტკიცება დაიწყო, ჩემი გოგონას მამა ბეკერიაო. ამ განცხადებამ ყველაზე მეტად თავად ბორისი გააოგნა. ჩოგბურთელი ამტკიცებდა, ერმაკოვასთან მხოლოდ ხუთწამიანი სექსი მქონდაო, მაგრამ ექსპერტებმა ბეკერი პატივად არას ანას მამად ცნო და აღინიშნეს გადახდაც დააკისრა. ბორისს სოლიდური თანხის გაღება ევალებოდა, მაგრამ ამაზე არ უნუნებოდა - ფული ბეკერი ქოწნდა. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ბარბარამ თავი მოტყუებულად ჩაქოვლა, ბორისს მიატოვა და ბავშვებთან ერთად ფლორიდაში წავიდა საცხოვრებლად. უიღბლო დონ შუანი მარტო დარჩა, თუმცა, არა დიდი ხნით. მალე ბორისი ინდური წარმოშობის რეპერმა ქალმა, ზაბრინა შეტლურმა შეაქცია. ამას მოჰყვა ჰაიდი ნუმეს-გომესი, მომზიბველი მოდელი დომინიკანელთა რესპუბლიკიდან. 2002 წელს გერმანული ყვითელი პრესა ირწმუნებოდა, ბეკერი ამერიკელი პატრის ფრანკზე შეუყვარდაო. ამ სიყვარულმა მხოლოდ 151 დღეს გასტანა და უკვალოდ გაქრა. ახლა ბეკერი ისევ ახალ ქალთან ერთად გამოჩნდა საზოგადოებაში. ურნალისტები ისევ ირწმუნებიან, ბორისს შეყვარებულიაო. ჩოგბურთელის მეგობრებაც ამასვე ამტკიცებენ. ვნახოთ.


დისნეი ლენდში ერთი ქუჩაა, რომელსაც ამერიკის მთავარი ქუჩა (**Main Street, U.S.A.**) ჰქვია. აი, როგორ გვიხასიათებს მას უოლტ დისნეი: “მთავარი ქუჩა ყველასთვის მშობლიური ქალაქია, იგი ამერიკის გულია.” ამ ქუჩაზე მოხვედრისას ჩვენს თვალწინ იმლება საოცარი ბულვარი, რომელსაც 100 წლის წინანდელი ამერიკის ელფერი დაჰკრავს: ახალი საუკუნის დასაწყისია. ძველი, ცხენებიანი ტრამვაი და

ავტომობილები ერთმანეთს ეცილებიან მთავარ გზაზე გავლას.

თუ მულტიპლიკატორის სქემაზე მარჯვნივ გადახტებით, უეცრად მიკი მაუსისა და მისი მეგობრების ფერად, ექსცენტურულ, სახუმარო ქალაქში ამოჰყოფთ თავს. აქ გელოდებით უამრავი გასართობი და სიურპრიზი მიკისთან და დისნეის სხვა ზღაპრის გმირებთან ერთად.

ახალი ორლეანის (**New Orleans Square**) ფრანგულ წარმოსახვით ნაწილში იგრძნობთ მოზღვავეებულ ენერგიას, დატკბებით მუსიკის საოცარი ჰანგებით, გაეცნობით ახალი ორლეანის ისტორიას, კულტურას, არქიტექტურას. ამ საოცარ ქვეყანაში მოსმენილი მრავალფეროვანი ზღაპრები მეკობრეებზე, ავსულებსა თუ მოჩვენებებზე უსაზღვრო ინტერესს მოგვკრით.

მომავლის სამეფოში (**Tomorrowland**) ვიმოგზაურებთ რაკეტით კოსმიურ სივრცეში. აქ ჩვენ ვიხილავთ თანამედროვე ტექნოლოგიის სიახლეებს. შეუზღუდავ სამყაროში, სადაც რობოტები გაგვიწვევენ მეგზურობას, მომავალ დროში მოგზაურობა მოგვიწვეს.

კალიფორნიის დისნეი ლენდში სრულიად განსხვავებული ადგილებიცაა. ერთერთი მათგანია ხოჭოებისა და მწერების სამეფო (**a bug's land**), რომელიც ფლიკა დააარსა “ხოჭოების ცხოვრების” მიხედვით. გსურთ, ცხოვრებას ხოჭოებისა და სხვადასხვა მწერის თვლით შეხედოთ? აქ იმოგზაურებთ მათ საიდუმლო სამყაროში უამრავ დიდ ხოჭოსთან ერთად. გასართობ ატრაქციონებზეც მეგზურობას მწერები გაგიწევენ.


ოქროს სახელმწიფოში (**Golden State**) კი - თითქოს, ჩვენს ოცნებებს ფრთები ესხმება: ირგვლივ სილამაზე და სიუხე გამეფებულია. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეოცნებებს ვაწყდებით. ამ უსაზღვრო სამეფოს ექვსი ჯადოსნური ნაკვეთი უჭირავს.

გაიარეთ უზარმაზარი ბაბილონის სტუდიის ალაყაფის კარები და პოლივუდის ფანტაზიურ ბულვარში ამოჰყოფთ თავს, რომელსაც გარს ერტყმის ლოს-ანჯელესის ლეგენდარული პეიზაჟები. ირგვლივ თვალის მომჭრელი კაფეები, მაღაზიები და თეატრებია. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება პოლივუდის მრავალი ცნობილი ფილმი.

თუ ფეხს შედგამთ სამოთხის მიწაზე (**Paradise Pier**), რომელიც კალიფორნიის მიზან კურორტზეა, წინ უსასრულო გასართობი და თავგადასავლები გელით ზღვის სანაპიროზე. იქ უამრავი გასართობი ადგილი, კაფე-ბარი და მაღაზიაა.

გაძვრებით ფანტასტიკური ოქროს კარებიანი ხიდის ქვეშ და აღმოჩნდებით მზის სამეფოში. სამეფოს ცენტრში 50 ფუტი სიმაღლის მოკაშკაშე მზის ქანდაკება აღმართულა, რომელიც სხივებს ჰფენს სხვადასხვა ფერებში გარდამავალ გასაოცარ შადრევანს.

აქედან წამოსვლა არასოდეს მოგიწევთ.



თბილი, კეთილი ქართული მულტფილბები

შორენა ჯავახიშვილი
მედიკოსი

მულტფილმების მოყვარულთათვის ასაკის განსაზღვრა არ უნდა იყოს ჭკვიანური იდეა, - კარგ მულტფილმს დიდიც და პატარაც სიამოვნებით უყურებს.

მაინც, რითაა ასე მიმზიდველი ეკრანზე გაცოცხლებული ნახატების სამყარო, გენიალური მეზღაპრე-სცენარისტებისა და ნიჭიერი რეჟისორ-მულტიპლიკატორების ფანტაზიით შექმნილი ეს საოცრება?

სრულებითაც არაა ეს მიმზიდველობა ძნელად ასახსნელი: აბა, დააკვირდით, რამდენი სიკეთეა თავმოყრილი ერთად ამ ციცქნა შემოქმედებით ქმნილებებში: გაცოცხლებული ბუნება, საყვარლად დახატული, ადამიანის ენაზე ამეტყველებული გმირები: ცხოველები, ფრინველები, მანქანები ... და მუსიკალური ფონი, მთელი ამ საოცრების ერთ მთლიან სრულყოფილებად შემკვრელი.

არ მოგინდათ, ახლა, ერთი კარგი მულტფილმის ყურება? არ ნახავდით სიამოვნებით, კიდევ ერთხელ, "წუნა და წრუნუნას"? "ჩხიკვთა ქორნილს"? გახსოვთ, რა კარგი მულტფილმებია: "ლურჯი მელია", "მტრობა", "ბატი ტასიკო", "ბაბაჯანას ქოშები", "კომბლე", "სოფლის მამუნებელი", "ხელმარჯვე ოსტატი" და სხვებიც, მრავალი და მრავალი...

რა გულსატკენია, რომ ვეღარ იღებენ ქართულ ანიმაციურ ფილმებს! რა ბედნიერება იქნებოდა, ეს დარგი რომ ასე საცოდავად არ ჩანავლებულიყო და წელიწადში ერთი-ორი ახალი მულტფილმი მაინც შექმნილიყო ქართულ კინოსტუდიებში! გასაგებია, რომ ამ საქმის აღორძინებას დიდი ფული სჭირდება. დავიჯეროთ, რომ იმ ფულიან ბიძიებს არ უჩნდებათ ასეთი სურვილი, ჩვენ რომ გაგვიჩნდა? ნეტავი, რომელიმე მათგანი თუ იტყვის გულში ერთ მშვენიერ დღეს: "მოდი, გამოვაცხადებ კონკურსს საუკეთესო ანიმაციური ფილ-

მის სცენარისათვის. გამარჯვებულ სცენარებს და ნიჭიერ რეჟისორებს დავაფინანსებ და დაიბადება კიდევ რამდენიმე ქართული მულტფილმი. სხვანაირად ამ საქმეს არ ეშველება. ვილაცამ ხომ უნდა დაინყოს! მერე სხვებიც შემომეშველებიან!"

იტყვის თავის გულში ამ სიტყვებს და შეასრულებს კიდევ.

სხვანაირად როგორ იქნება!

განა შეიძლება, სამუდამოდ გაქრეს ქართული მულტიპლიკაცია?

კარგია, ძალიან კარგია "ბემბი"! გახსოვთ დისნეის საყვარელი შვლის ნუკრი? არა, ახლა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთივე ტექნიკითა და სრულყოფილებით შესრულებული, ანიმაციურ ფილმად ქცეული ვაჟა-ფშაველას "შვლის ნუკრის ნამბობი". რა საოცრება იქნებოდა! განა ნიჭიერებაში და ოსტატობაში ქართველი მულტიპლიკატორები რაიმეთი ჩამორჩებიან უცხოელებს? დარწმუნებით შეგვიძლია ვამტკიცოთ: "შვლის ნუკრის ნამბობი" ნამდვილი შედევრი იქნე-

ბოდა! დიდი ვაჟა-ფშაველა ისე ვახსენეთ, მაგალითისათვის... სხვაც უამრავი ვიცი ქართული კლასიკური ლიტერატურიდან ისეთი ნაწარმოები, მულტიპლიკაციის ენაზე მათი ამეტყველება შესაშური საქმე რომ იქნებოდა. კლასიკასაც რომ დავანებოთ თავი... რამდენი ორიგინალური იდეაა განსახორციელებელი! ნუ მოვაკლებთ ამ სიამოვნებას ქართულ ბავშვებს.



მულტსამყარო

წყალქვეშა სათავგადასავლო პარკი ფლორიდაში

ფლორიდის შტატის ზღვის სამყაროს სათავგადასავლო პარკში (Sea World Adventure Park) განსხვავებული სანახაობა გელოდებათ. იქ დაგვხვდებათ დელფინი შამუ თავის მეგობრებთან ერთად და უზარმაზარ ეკრანზე მის თავგადასავალსაც საკუთარი თვალით იხილავთ.

დასავლეთით კი დელფინების ყურე მდებარეობს. გამჭვირვალე არხებით წყალქვეშა სამყაროში ამოჰყოფთ თავს, სადაც მოკროფონებია დამონტაჟებული, რომელთა დახმარებით დელფინების ერთმანეთთან საუბარს მოისმენთ. ისინი პატარა თევზებით იკვებებიან. წყალქვეშა სამყაროში ჩასვლამდე თქვენც შეგიძლიათ იყიდოთ პატარა თევზები და მეგობარ დელფინებს საჩუქრად მიართვათ.

წყნარი ოკეანის ნაკრძალში ნახავთ, როგორაა ნამონოლილი მზის გულზე ათასობით კალიფორნიული ზღვის ლომი. ადგილობრივი ზღვის ჩიტები ფრთების ტყლაშუნით დაეძებენ თავიანთ საკვებს, - პატარა თევზებს. აქ შეგიძლიათ ზღვის ძროხებზე იხილოთ, რომლებიც თავიანთი ჯიშის უკანასკნელ თაობას წარმოადგენენ დედამიწაზე.

დელფინი შამუ თავის ადგილსამყოფელში ფერადი ბურთებით თამაშობს. იგი დგაფუნით ამოდის წყლის ზედაპირზე და ტრამპლინისაკენ ხტება. ბავშვებისაგან მიწოდებულ საკვებს ჰაერში ოსტატურად იჭერს, მერე კი მიცურდება მათთან და წრივებით უხდის მადლობას.

ზღვის სამყაროში მოგზაურობისას შეგიძლიათ წყალზე თხილამურით სრიალიც

ისწავლოთ, რაშიც ინსტრუქტორი დაგეხმარებათ. დასავლეთ ნაწილში კიდევ ერთი საინტერესო სანახაობა გელოდებათ. უნდა იჩქაროთ და, წარმოდგენის დაწყებამდე მისწროთ, თორემ მერე ბილეთის შოვნა გაგიჭირდებათ. იქ შამუს მაგივრად სხვა დელფინები დაგვხვებიან, რომლებიც ახლოს გაგეცნობიან და წარმოდგენაც ფრიად უცნაური იქნება, რადგან მასში მონაწილეობას თქვენც მიიღებთ. უნდა წარმოიდგინოთ, რომ ორავალი ხართ და ვეშაპი შექმას გიპირებთ. მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, - ის ვეშაპი ხომ თქვენი მეგობარია! ყველაზე პოპულარული კი ზღვის ლომებისა და წავეების წარმოდგენა გახლავთ. ეს ცხოველები ტურისტებს ისე ამასხარავენ, რომ სიცოცხლე ვეღარ შეიკავებთ. ოღონდ ბევრი არ იცინოთ,

რადგან თქვენც მათი ბედი გელოდებათ.

თუ სურვილი გექნებათ, ვერტმფრენით მოხვდებით ველური არქტიკის (Wild Arctic) სამყაროშიც, სადაც ყინულზე მცხოვრებ ლომ-ვეშაპებს, სელაპებს, ბელუგა ვეშაპებსა და თქვენთვის საყვარელ ვეშაპ პოლარულ დათვებს აღმოაჩენთ.

დრაკონების სამყარო კი ის სამეფოა, სადაც ბავშვებს შეუძლიათ დრაკონის ფორმის ატრაქციონით ისრიალონ. აფრიკის ყურეში მოხვედრისას კი თავი მართლა აფრიკაში გეგონებათ. იქ უამრავი აფრიკული ცხოველი დაგვხვდებათ: გრძელკისურა ჟირაფი, ზოლებიანი ზებრა, ლომი, მაიმუნები და ა.შ. საოცარი გართობა გელით მთის გორილებთან ერთად, რომლებიც ადამიანებს გვანან და მართლაც ძალიან ჭკვიანები არიან.



ოთხი ძმისა და წილადის ამბავი

ელენა კოპოროძე

რიცხვთა დიდ სასახლეში
ოთხ ძმას ერთად ნახავთ.
ერთი მუდამ აგროვებს,
მეორე კი – კარგავს,
მესამე სულ ამრავლებს,
მეოთხეა, რომ ყოფს
და ოთხივე პოულობს
საქმეს, თავის სამყოფს.



შეკრება

მედიდური იერით,
მწვანე სამოსელით,
შეკრებაა, იცანით,
გოდორივით სქელი?
ანგარიშში არ ჰყავს სწორი:
ათი არის რვას პლუს ორი!
დაფიქრდება ერთი წუთით:
ათი არის ხუთს პლუს ხუთი!
არის მუდამ მხნე და მშვიდი:
ათი არის სამს პლუს შვიდი!
არც სჭირდება ფიცი-მტიცი,
თავის საქმე კარგად იცის.



გამრავლება

გამრავლებაც აქ არის,
ქარბუქივით დაჰქრის,
თანაც რა სასაცილო
ლექსებს გაიძახის:

“ჰერი, ჰერი, ვტრიალებ,
არ ვისვენებ არც ერთ წამს.
ოცი უდრის ათჯერ ორს,
ოცდაათი – ათჯერ სამს!

ჰერი, ჰერი, ჰერიო,
არ ყოფილა ძნელიო!



გაცოფა


მანტია რომ მოუსხამს,
ვინაა, თუ იცანით?
ბატონი გაყოფაა,
კი, ნამდვილად ის არის!

ბრძანებს: ასი ოქრო მაქვს,
მეომრები მელიან,
ისეთი მამაცები,
გამორჩევა ძნელია.

თითოს ხუთ ოქროს მივცემ,
წარბიც არ შემერხვევა,
მაშინ მთელი ქონება
ოც მეომარს ერგება.

თუ სურვილი გვექნება,
კიდევ ერთ გზას მივაგნებთ:
მთელი ეს მოქმედება
გამოვხატოთ წილადით.

მთელის ნაწილი რომ ხარ,
კარგად ვიცით, წილადო,
ჰოდა, გვინდა ძალიან,
მთელი დავანილადოთ,
დავყოთ, დავანანევროთ,
თანაბარ ნაწილადო,
შენი შნო და უნარი,
ეგებ, ჩვენც გვინილადო!



გამოკლება

გამოკლებაც აქ ცხოვრობს,
სევდიანი ყმანვილი.
ყველაფერი აკლდება,
რაც ძმებსა აქვთ დათვლილი.

წუხს: თორმეტი თხა მყავდა,
ახლა მხოლოდ შვიდია...
დანარჩენი რა იქნა?
ნეტავ, საით მიდიან?

შვიდი არის თორმეტს რომ
ხუთი გამოაკლდება...
კიდევ შვიდს თუ დავკარგავ,
მაშინ წული დარჩება!



წილადი

დიდი სიამოვნებით,
ყველას მივეშველები,
მაგრამ რა ვქნა, ამ წუთში
შეკრული მაქვს ხელები.

კარგად იცნობთ თქვენ, ალბათ,
ჩემს შემდგენელ ნაწილებს,
ახლა ისე ჩხუბობენ,
ერთმანეთს ვერ ვაცილებ.

წაეკიდნენ ერთმანეთს
მრიცხველი და მნიშვნელი:
ვერ შეთანხმდნენ, მათ შორის
რომელია პირველი.

მნიშვნელმა თქვა: "ნამდვილად
მე ვარ შეუცვლელიო.
ვამბობ, რამდენ ნაწილად
დანაწილდა მთელიო".

უპასუხა მრიცხველმა:
"ეგრე როგორ იქნება!
თუ რამდენ წილს ავიღებთ
ჩემით აღირიცხება".



შემოუწყრათ წილადი:
"დროს სულ ჩხუბში ატარებთ!
ავდგები და თქვენს შორის
გამყოფ ხაზს გავატარებ.

საქმე მაშინ გამომდის,
როცა ერთად ირჯებით...
მართლაც რომ ვინილადო
თქვენ ორივე მჭირდებით!

ამბის დასასრული

დაშოშმინდნენ ბიჭები,
მიხვდნენ, როგორ ცდებოდნენ.
"ძალა ერთობაშია!" –
ერთურთს ეუბნებოდნენ.

თქვენც, ჩემო პატარებო,
სწავლას გულს თუ დაუდებთ,
რიცხვათ სამფლობელოში
ლაღად იმოგზაურებთ.

ილია ჭოღლაშვილის ნახატი

ახალი ლექსი

ვაჟა ოთარაშვილი

ნიბლია ჩიტის ნატვრა
და სიზმარი

აირჩევენ არწივს მეფედ,
აირჩევენ, აბა, რა...
წუხელ სუნთქვა შემეიგუბდა,
ისე შეჰკრა კამარა!
შეჰნატროდა არწივს ჩიტი –
ნიბლია და პანია...
თბილმა სიომ თხილის ტოტთან
ერთად გადაარწია...
ჩაეძინა ჩიტუნისა,
დაესიზმრა უფალი:
"არწივობას გირჩევნია,
იყო თავისუფალი..."



მატყუარა დათუნია

ტელეფონზე რეკავს დათვი,
ეხვეწება ფუტკრებს გულით:
"გამითავდა, უკვე, თაფლი,
განვუტევეო, ლამის, სული...
გამოგზავნეთ ოთხი ქილა,
გადაგიხდით სექტემბრამდე..."
"ცრუპენტელა დათუნიავე,
შარშან ორი ქილა განდეთ,
გროშიც კი არ მიგვიღია,
გადაგვირჩი დაკბენასო,
ამიტომაც მიგამსგავსეთ
ტყუილებით სავსე კასრსო!..."



სამი ლექვი

სამი ლექვი დაყარა
ჩვენმა შავმა მურიაშ...
ერთი – დედას არა ჰგავს,
ორი ჭრელი ყური აქვს...
ერთიც – დედის ფერია,
მაგრამ კუდი – თეთრია,
წუხელ ლექსოს "ჩუსტები"
ბაღში გამოეთრია...
ნაბოლარა, შავტუხა –
დედის ალი-კვალა,
მაგრამ მურა დედიკოს
სამთავ უყვარს ძალიან...



წყნარი საათი

- დაგავინყდა, ბარბარე,
დილით რა დაგაბარე?
ბებოს "წყნარი საათი"
რატომ გამოაპარე?
- ბებოს მშვიდად ჩასთვლიმა,
დამენანა მოხუცი...
ხვალაც ჩუმი ვიქნები,
გალვიძებას მოვუცდი...

ილია ჭოღლაშვილის ნახატი

სტუმრება ქრისტიანთა

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია შორულ წარსულში იღებს სათავეს. ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა, ქრისტეს მოწაფეებმა, ქართველურ ტომებში, ჯერ კიდევ, I ს-ში იქადაგეს ქრისტიანობა. ამის შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ქრისტიანთა პატარა თემები ქ. მცხეთაში უკვე III საუკუნეში ჩნდება. IV ს. დასაწყისში კი საქართველოში ჩამოედის მოციქულთა სწორი წმ. ნინო, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.



III-IV საუკუნის მიჯნაზე საქართველოში ჯერ კიდევ წარმართულ კერებს სცემდნენ პატივს. ქართლის უზენაეს ღვთაებას არმაზის კერძი წარმოადგენდა, რომელიც მცხეთის მოპირდაპირე მთაზე იყო აღმართული. ამ დროს ქართლის სამეფოს მეფე მირიანი განაგებდა.



III საუკუნის მიწურულს კაბადოკიაში, ქალაქ კალასტრას, იშვა ქართლის განმანათლებელი წმ. ნინო. მისი მშობლები მეტად მორწმუნე იყვნენ.

მამამისი, ზაბილონი, რომის არმიის მსახურობდა და დიდ წარმატებასაც მიაღწინა. დედა, სუსანა, იერუსალიმის პატრიარქთან იზრდებოდა. დედ-მამა პატარა ნინოს თავიდანვე ღვთის სიყვარულით ზრდიდნენ. როცა ნინო თორმეტი წლის გახდა, მისმა მშობლებმა გაყიდეს ყოველივე და იერუსალიმში წაიყვანეს.



იერუსალიმში წმ. ნინო პატრიარქთან სარა ბეთლემელს მიაგარა აღსაზრდელად. ნინომ საბუნდავოდ შეინახა იესო ქრისტეს ცხოვრება. ერთხელ საარამ წმ. ნინოს უამბო ქრისტეს კვართის ამბავი. მოუთხრო, რომ მაცხოვრის სამოსი ჯვარცმის შემდეგ წილად ხვდა ჩრდილოეთ, - მცხეთელ მოქალაქეებს. წმ. ნინო მეტად დაინტერესდა ამ ისტორიამ.

მან გადაწყვიტა, მოეხილა მცხეთა და უფლის კვართის დაკრძალვის ადგილი. თავის განზრახვა წმ. ნინომ პატრიარქს გაანდო. მან ნინო ქრისტეს საფლავთან მიიყვანა, დალოცა და მცხეთაში გამოგზავნა.

წმ. ნინო მორწმუნე ქალებთან რიფსიგმთან, გაიანანა და სხვებთან ერთად თავდაპირველად სომხეთისაკენ გამოემართა. ამ დროს სომხეთში მეფობდა მეფე თრდატი. იგი თავგამოდებული კერპთაყვანისმცემელი იყო და ქრისტიან მორწმუნეთ სანტიკად სდევნიდა.



სომხეთში მორწმუნე დედაბის ჩასვლის ამბავი უმაღვე გაიგო თრდატი მეფე. მან რიფსიგა და მისი თანმხლები პირები შეიპყრო და სანტიკად დასაჯა. წმ. ნინო შემთხვევით გადაურჩა ჯალათის მახვილს. იგი კერძის ზურგში დაიმალა. იგი მცირე ხანს კიდევ ცხოვრობდა სომხეთში, შემდეგ კი ქართლში გამოიპარა.




სომხეთიდან წამოსული წმ. ნინო ჯერ ჯავახეთში მოვიდა და ფარავნის ტბის პირას შეჩერდა. სიცივისაგან და შიმშილისგან განამეზულმა წმ. ნინომ საზრდელი მეთევზეებს სთხოვა. იქვე იმყოფებოდნენ მწამსებიც, რომელთაც ნინომ დაწვრილებით გამოჰკითხა მცხეთისაკენ მიმავალი გზა.



ფარავნის ტბიდან წმ. ნინო მდ. მტკვრის დინებას აუყვია და ურბნისში ჩავიდა. ქალაქში ნინომ ერთი თვე დაჰყო. აკვირდებოდა ხალხს, მათ ალათ-წესებს. ერთ დღესაც ნინომ იხილა მცხეთაში სავაჭროდ და მსხვერპლის შესანიშნად მიმავალი ხალხი. ისინი დედაქალაქში არაგვის დღესასწაულზე დასასწრაფად მიდიოდნენ. ნინო გაჰყვია მათ და მცხეთაში ჩავიდა.



მცხეთაში აუარებელი ხალხი იყო შეპყრბილი. ქუჩები სხვადასხვა ფერის ძსოვილებით იყო მორთული. უცვა განსა საყვირთა ხმა და ქალაქის კარიბჭიდან სამეფო აგაღა გამოვიდა. მათ დიდებულები მოჰყვებოდნენ. ჰროცესია არაგვის ღვთაებისაკენ მიემართებოდა. წმ. ნინო კერპის მახლობლად იღბა და თვალებურს აბრეშებდა ზვიმს.



ამ სანახორით შეპყრუნებულმა წმ. ნინომ ალავრო ზეცას თვალნი და უფალს შეევედრა ქართველთა სულის ხსნას. უცვა მოხდა სასწაული: ცა მოიღვრულა და საშინელი სეტყვა წამოვიდა.


შეშინებულმა ხალხმა თავი ქალაქს შეაფარა. ცამ კიდეც ერთხელ დაიქუხა და კერპს მენი დაეცა. სრულიად დაიქცა არაგვის ღვთაება და საკერპა.



არაგვის კერპის დამსხვრების შემდეგ წმ. ნინო ქალაქ მცხეთაში დაბრუნდა და სამეფო ბაღში დაიდო გინა. ამ მან თავი შეაფარა ბაღის მცველის სახლს, სადაც უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა.



მცირე ხნის შემდეგ წმ. ნინო ქალაქის გალავანს ბარათ მახვილის ეკლესიარდში დამკვიდრდა, იქ, სადაც დღეს სამთავროს დედათა მონასტერია. ვაზის ნახვებისაგან შექმნა ჯვარი და დღე და ღამ დაუცხრომლად ლოცულობდა.



ანა ცხოვრობდა სამი წელიწადი. ნინო მცხეთაში. მრავალი ალაგინი დაემოწაჟა ქართველთა განმანათლებელს.




წმ. ნინომ მცხეთაში სახელი გაითქვა, როგორც სასწაულმოქმედა მკურნალმა. მან ბევრი საყვარი განკურნა ლოცვით. ამ დროს ქართლის დედოფალი ნანა მკიბედ დასწაულდა.



საიდან არ მოუყვანეს ექიმები, მგზამ ამოღ. სამეფო კარზე შეიტყვეს წმ. ნინოს სასწაულმოქმედა. მსახურება ნინოს აღგილსამყოფელი შეიტყვეს და დედოფალი საბანებო ტახტრეანით მის სამყოფში მიიყვანეს. ჯვარისა და იესო ქრისტეს სახელით ნინომ მიყვულად განკურნა დედოფალი ნანა.

გაბრძობა იქნება



ტექსტის ავტორი
და კონსულტანტი: ჯანა საბუღია
მხატვარი: ლევან კიკელიძე

დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი

თამარი ფხაკაძე

ერთ პატარა ქალაქში, ერთ პატარა გოგონას დედიკომ თეთრი ტილოს ქუდი აჩუქა.

ერთხელ გოგონა ფუნთუშის საყიდლად წავიდა მალაზიაში. ისეთი ლამაზი იყო, ყველა თვალს აყოლებდა. კაბაზე ფუმფუმებიანი დიდი ჯიბე ეკერა, თავზე კი დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი ეხურა.

გამყიდველმა პატარა გოგონას დიდი, დაბრანული ფუნთუშა აურჩია და ჭრატუნა პარკშიც ჩაუდო.

მიდის გოგონა. მიბაკუნობს შინი-



და აქედან მოუსვი! - უთხრა ხავსის ქუდა ჯუჯამ.

- არა, გმადლობ. მე დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი მინდა, - თქვა პატარა გოგონამ.

ხავსისქუდა ჯუჯამ ცხვირი მოიფხანა. მერე თქვა:

- ეეეე... ძალიან კი მენანება, მაგრამ... რაც არის, არის! უჩინმარინის ქუდს გაჩუქებ და აქედან მოუსვი.

- არა, გმადლობ. მე დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი მინდა, - თქვა პატარა გოგონამ.

ხავსისქუდა ჯუჯამ ისევ მოიფხანა ცხვირი და თქვა:

- ეეეე... ოოოო... მოკლედ, ისა, სადედოფლო ზურმუხტგვირგვინს გაჩუქებ, რა ვქნა, შენი იყოს და აქედან მოუსვი!

მაგრამ პატარა გოგონამ თქვა:

- არა, გმადლობ. მე დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი მინდა.

- ნნ, ნნ, ნნ... - გააქნია-გამოაქნია თავი ხავსისქუდა ჯუჯამ, - კი მაგრამ, რად გინდა ეგ რაღაც ქუდი... ფიჰ... ტილოსი?..

- რად მინდა და, ძალიან მიყვარს, იმიტომ, რომ დედიკოს ნაჩუქარია, - თქვა პატარა გოგონამ.

- ეეე... არ ვიცი, არ ვიცი, - თქვა ხავსისქუდა ჯუჯამ და გაქრა.

პატარა გოგონა გზას გაუდგა. შორს, უზარმაზარ ხეებს შორის რაღაც

თეთრად მოჩანდა.

„ეს, ნამდვილად, დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდია!“ - გაიფიქრა გოგონამ და იქით წავიდა.

უცებ რაღაც წრიპინი და ჟრიაბული მოესმა. მოიხედა პატარა გოგონამ და რას ხედავს! მუხების ქვეშ პანია რკოსკაცუნები ბუქნაობენ, ცეკვავენ და მღერიან.

- ეჰეეეი! - დაუძახა პატარა გოგონას ერთმა რკოსკაცუნამ, - აქ რა გინდა, პატარა გოგონა?

- დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი, - თქვა გოგონამ.

- ოჰ! რად გინდა რაღაც ტილოს ქუდი! აჰა, რკოს ქუდეებს გაჩუქებ! რამდენიც გინდა, აილე და აქედან მოუსვი, - უთხრა რკოსკაცუნამ პატარა გოგონას.

- არა, გმადლობ. მე დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი მინდა, - თქვა გოგონამ და წინ წავიდა.

შორს, უზარმაზარ ხეებს შორის რაღაც თეთრად ქათქათებდა. „ეს, ნამ-

დვილად, დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდია“, - გაიფიქრა გოგონამ და იქით გასწია.

უცებ, წინ ტყის ალქაჯი, კეკა წამოუსკუპდა. ცეცხლისფერი თმა გასჩეროდა და საშინელი სანახავი იყო.

- ეჰეი! ვინა ხარ! აქ რა გინდა? - დაინვილა ალქაჯმა კეკამ.

- დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი, - უპასუხა გოგონამ.

- მერედა, ჩემი არ გეშინია? მე ხომ საშინლად მახინჯი ვარ!

- მახინჯი სულაც არ ხარ. თმა გაქვთ დასავარცხნი. გინდათ, დაგვარცხნოთ? - ჰკითხა პატარა გოგონამ.

- მმმ... რა ვიცი... დამვარცხნე! - დაინვილა ისევ ალქაჯმა კეკამ.

გოგონამ დიდი, ფუმფუმებიანი ჯიბიდან ოქროსფერი სავარცხელი ამოიღო და ალქაჯი კეკა დავარცხნა.



მერე თმა ნანწავად დაუნწა და ბოლოში ტყის ყვავილიც გაუბნია.

რა გგონია? იცი, როგორ გალამაზდა ალქაჯი კეკა?

- ვაი! რა ლამაზი ხარ! - ხელი ხელს შემოჰკრა პატარა გოგონამ.

- მართლა? - გაინაზა ალქაჯი კეკა, - ნავალ, ერთი, ტბაში ჩავიხედავ.

და გაქრა. გოგონა კი წინ წავიდა. შორს,

საკენ. უცებ, ქარმა დაუბერა, გოგონას თავიდან მოჰგლიჯა დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი და სულ ქრიალ-ქრიალით წაიღო.

პატარა გოგონას ძალიან უყვარდა დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი, ამიტომ, არც დაფიქრებულა, ისე დაედევნა უკან.

ქუდი მიფრინავდა და მიფრინავდა. გოგონაც - მისდევდა და მისდევდა. გადაირბინა ქუჩები, მოედნები, მოსახვევები, ხიდი. მერე, ქალაქის გარეუბანშიც გადაირბინა.

ქუდი მიფრინავდა და მიფრინავდა. გოგონაც მირბოდა და მირბოდა. გადაირბინა მწვანე მინდორი, გადაახტა პატარა ნაკადულს და უჰ! უღრან ტყეში ამოჰყო თავი.

დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი აღარსად ჩანდა. გოგონა ეკალ-ბარდებიან უღრან ტყეში იდგა და აქეთ-იქით იცქირებოდა.

უცებ, ერთი ბებერი, ხავსმოდებული კუნძი შეინძრა, შეტორტმანდა და ხავსისქუდა ჯუჯად იქცა.

- ეჰეი! შენ ვინა ხარ? - ჰკითხა ხავსისქუდა ჯუჯამ პატარა გოგონას.

- მე... პატარა გოგონა ვარ, - თქვა გოგონამ.

- მერედა, აქ რა გინდა? - ჰკითხა ხავსისქუდა ჯუჯამ.

- დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი, - უპასუხა გოგონამ.

- აჰა, ჩემს ხავსის ქუდს გაჩუქებ



უზარმაზარ ხეებს შორის ისევ ქათქათა-თებდა რაღაც.

„ეს, ნამდვილად, დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდია“ - ფიქრობდა გოგონა და უშიშრად მიდიოდა სწორედ იქით.

უჰ! ძალიან დაიღალა და ძალიანაც მოშივდა. უცებ, პატარა გოგონას გაახსენდა, რომ დიდ, ფუშფუშებიან ჯიბეში რაღაც ედო, რაღაც დაბრანული და გემრიელი! დიახ, დიახ! ფუშფუშებიან, დიდ ჯიბეში ჭრაჭუნა პარკში ჩადებული ფუნთუშა ედო.

გოგონამ ფუნთუშა ამოიღო და, ის იყო, უნდა ჩაეკბინა, რომ წინ გაბერილი ტყისკაცი - მუცელგოდორა გადაუდგა.

- ჰეი! აქ რას დაეხეტები! აქ რა გინდა! - დაიღრიალა ტყისკაცი მუცელგოდორამ.

- დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი, - უთხრა პატარა გოგონამ.

- მერედა, არ გეშინია, რომ გადაგყლაპო?! ძალიან მშია! მე ხომ მუცელგოდორა ვარ!!

- ოჰ, აი, თქვენთვის დაბრანული ფუნთუშა მაქვს. მიირთვით, მიირთვით, - უთხრა მუცელგოდორას პატარა გოგონამ და ფუნთუშა გაუნოდა. ძალიან შიოდა თვითონაც, მაგრამ რა ექნა, დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი ხომ

უნდა მოეძებნა?

ტყისკაციმა მუცელგოდორამ ფუნთუშა ჩაკბინა და თავისი გზით წავიდა.

მიდის, მიდის პატარა გოგონა უღრან ტყეში. უცებ ხედავს: აჩხა-ბაჩხა პატარა ქოხი დგას. ქოხის ფანჯრიდან კი ძალიან, სუუულ ძალიან მოწყენილი ჯადოქარი-ბებიკო იყურება. ეს ავი ჯადოქარი პანტია იყო, მაგრამ გოგონამ, აბა, რა იცოდა მისი სიავის ამბავი? ძალიან შეეცოდა მოწყენილი ჯადოქარი-ბებიკო და დაუძახა:

- ბებიკო, ასე რატომ მოგიწყენია? ჯადოქარმა-ბებიკომ არაფერი უპასუხა და მხოლოდ ამოიხრა:

- ეჰ! ოჰ! ეჰ...

პატარა გოგონას ძალიან ეჩქარებოდა დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდის მოსაძებნად წასვლა, მაგრამ რა ექნა! ეცოდებოდა მოწყენილი ჯადოქარი-ბებიკო და ერთხელაც ჰკითხა:

- ბებიკო, იქნებ რამეთი დაგეხმარო?

მაშინ ჯადოქარმა-ბებიკომ დაუძახა:

- გეტყობა, არ იცი, მე ვინ ვარ!
- ვინ და, მოწყენილი ბებიკო! - მიუგო პატარა გოგონამ.
- მე ავი ჯადოქარი პანტია ვარ, - თქვა ბებიკო-ჯადოქარმა, -

მაგრამ არ შეგეშინდეს, უკვე ძალიან მოვხუცდი. თანაც, ძალიან, სუულ ძალიან მოვიწყენე. რომ იცოდე, როგორ მინდა რაიმე წკრიალა სიმღერის მოსმენა. ჩემი შიშით ხომ ახლომახლო ჩიტებიც აღარ იშენებენ ბუდეებს. არადა, ისე მომენატრა სიმღერის და გალობის ხმა! ისეთი მოწყენილი ვარ!

ეს თქვა და, ჯადოქარ პანტიას ცრემლები გადმოსცვივდა.

- მე გიმღერებ, ბებიკო! - თქვა გოგონამ და წკრიალა ხმით სიმღერა დაიწყო. „ლა-ლააა... ლა-ლა-ლააა“. მის ხმაზე ჩიტები მოფრინდნენ და გალობა დაიწყეს. ავი ჯადოქარი პანტია კი სულაც აღარ იყო ავი. კეთილად ილიმებოდა და ბედნიერსაც კი ჰგავდა.

- ახლა უნდა წავიდე, დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი უნდა მოვძებნო, - თქვა პატარა გოგონამ და გზას გაუდგა.

მიდის, მიდის. ხეებს შორის ისევ მოჩანს თეთრად რაღაც.

„ეს ნამდვილად დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდია“, - ფიქრობდა გოგონა და სწორედ იქით მიბაკუნობდა.

ერთი ცვანახოთ, ტყე შეთხელდა, შეთხელდა და გოგონა მწვანე მინდორზე გავიდა.

აგერ, ის თეთრად მოქათქათე რაღაცაც გამოჩნდა!

იცი, რა იყო? რა და, სწორედაც რომ დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი! იგი ულამაზესი სასახლის კოშკურაზე ეკიდა. ეს სასახლე ქარების პრინცესას სასახლე იყო. ქუდიც სწორედ ქარების პრინცესამ გამოიტაცა აქეთ.

ო, როგორ გაეხარდა პატარა გოგონას დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდის დანახვა. სულ სირბილით გაიქცა სასახლისკენ. გადაირბინა ყვავილებიანი მინდორი და



სასახლის ქიშკარს მიადგა. ბროლის ქიშკარი გაიღო და გოგონას ქარების პრინცესა შეეგება. ძალიან, ძალიან ლამაზი იყო და გრძელი, გამჭვირვალე მოსასხამი უფრიალებდა.

- რა საყვარელი და კარგი გოგონა ხარ! - თქვა ქარების პრინცესამ, - რა ძალიან გყვარებია დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი! შენ იგი არც უჩინმარინის ქუდზე გაცვალე და არც სადედოფლო ზურმუხტ-გვირგვინზე! ნეტავ, საიდან იცოდა?

- შენ ძალიან კეთილი გოგონა ხარ. ტყის ალქაჯი კეკა დავარცხნე, მუცელგოდორას ფუნთუშა აჭამე და მოწყენილი ჯადოქარი გაამხიარულე. ნეტავ, საიდან იცოდა?

- მითხარი, რითი დავასაჩუქრო? - ჰკითხა პატარა გოგონას ქარების პრინცესამ, - რა გინდა?

- დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი, - უპასუხა პატარა გოგონამ.

ქარების პრინცესამ გოგონას დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი მისცა, მერე თავისი გრძელი, გამჭვირვალე მოსასხამი გაშალა, გოგონა ზედ დასვა და შინისკენ, ქალაქისკენ გააფრინა.

ერთი, ორი და სამი! სადაცაა ზღაპარიც დამთავრდება!

ქარების პრინცესამ გოგონა ქალაქში სულ ქროლვა-ქროლვით ჩააფრინა, თავისი სახლის წინ ჩამოსვა და ფრრრრრრ - გაფრინდა სასახლისკენ.

გოგონა ბაკი-ბუკით გაიქცა შინისკენ. თავზე დედიკოს ნაჩუქარი თეთრი ტილოს ქუდი ეხურა, დიდ, ფუშფუშებიან ჯიბეში კი იცი, რა ედო? ჭრაჭუნა პარკში გახვეული დაბრანული ფუნთუშა.

ეს ჯადოსნური პარკი იყო, უზრალო კი არა! ამოიღებდი დაბრანულ ფუნთუშას და პარკში ახალი ფუნთუშა ჩნდებოდა. კიდევ ამოიღებდი და, - კიდევ ჩნდებოდა! არ ილევოდა ფუნთუშები...

აბა, თუ მიხვდი, ეს ვისი საჩუქარი იყო? რა თქმა უნდა, ქალების პრინცესასი!

ერთი, ორი და სამი! ზღაპარიც დამთავრდა. ახლა, მოდი, ტკბილად დაიძინე...



ზია ბალაშვილის ნახატი

ყინვასაც გააჩნია!

1966 წელს ნორვეგიელმა მკვლევარებმა სამხრეთ პოლუსის მახლობლად დაარეგისტრირეს ტემპერატურა - 94,5 გრადუსი ყინვა. რუსეთის სიცივის პოლუსში, - ვერხოიანსკში, იანვრის საშუალო ტემპერატურა 50,5 გრადუსია.

თითქმის დაუპირისპირი ამავენი

კოლუმბიის ქალაქ ალიმაგეში დროებით გაათავისუფლეს ყველა პატიმარი. მუნიციპალიტეტის ეს უცნაური გადაწყვეტილება იმან განაპირობა, რომ ქალაქის ციხე ავარიულ მდგომარეობაში იყო და სასწრაფო შეკეთებას საჭიროებდა.

“არდადეგების” დამთავრების შემდეგ ყველა პატიმარი დათქმულ დროზე გამოცხადდა ციხეში!

სოცხალი მიცვალებული

ინგლისელმა ტომ ჰაიზმა, რომელსაც სურდა, გამძლეობის რეკორდი დაემყარებინა და გინესის წიგნში მოხვედრილიყო, ოთხი დღე და ღამე გაატარა ... სამარეში.

კუბოში ჩანოლილ “სპორტსმენს” ჰაერს, წყალს და საკვებს პლასტმასის სპეციალური მილით აწვდიდნენ.

ხორთუმი ახალი ფუნქცია

სპეციალისტებმა საგანგებო ცდებით დაადგინეს, რომ სპილოს შეუძლია, ხორთუმის საშუალებით შეიგრძნოს სუნი ... ხუთი კილომეტრის მანძილზე.

რძე .. უძროხოდ, ანუ ძროხა-როზობი

ინგლისელმა მეცნიერებმა შექმნეს მანქანა, რომელიც უძროხოდ იძლევა რძეს. დანადგარი ამუშავებს ბალახს, სტაფილოს და მუხუდოს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ძროხის საკვებში შედის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ ძროხის რძე საკვები ცილების მხოლოდ 18 პროცენტს შეიცავს, მანქანის მიერ გამომუშავებულ რძეში მისი შემცველობა 80 პროცენტია. ამასთან, “უძროხო” რძეში არ არის ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელიც მავნეა როგორც ბავშვებისათვის, ასევე, ხანში შესული ადამიანებისათვის.

რთული აქსპერიმენტი

მონრეალის (კანადა) ერთ-ერთმა კლუბმა რთული ექსპერიმენტი ჩაატარა: ახალგაზრდა, ძალიან სიმპათიურ ქალს ასდოლარიანი უნდა გადაეცა საჩუქრად იმ მამაკაცისათვის, რომელიც მას პიკის საათებში ადგილს დაუთმობდა ავტობუსით მეზავრობისას.

მანდილოსანი ძალიან განვაღდა... ნანატრი ჯენტლმენი არა და არ ჩანდა...

ბოლოს, როგორც იქნა, მერვე ავტობუსში, დაუთმო მას ადგილი ძლიერი სქესის ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც დასძინა: “ჯანდაბას ჩემი თავი, დაბრძანდით, შემდეგ გარეგნულად მე მაინც ჩავდივარო!”



ბავაჯა ტყველადმიღობის და ირაკლი ბილაშვილის კოლაჟი

ორი დედა

დედამ მიატოვა თავისი ციციქნა პირმშო. მეზობელმა გააკიცხა იგი ასეთი ულმობელი საქციელისათვის და პატარა თვითონ იშვილა, - ჩემს შვილთან ერთად გაიზარდოსო, გადანყვიტა. მშობელმა დედამ მალე იგრძნო, რა სისულელეც ჩაიდინა და ოჯახური ბედნიერების დაკარგვა იხანა, მაგრამ გვიანლა იყო: შვილმა აღარ ისურვა მშობელთან დაბრუნება.

აი, რა საგულისხმო ამბავი შეემთხვათ მაგდებურგის ზოოპარკში მცხოვრებ მაკაკებს!

მცენარე-კომპასი

მცენარე-კომპასი ძალიან საინტერესო და თავისებური მცენარეა. მასზე დაკვირვებით ადვილად შეიძლება მხარეთა მიმართულების განსაზღვრა. იგი იზრდება ამერიკის პრერიებში და ორიგინალური აღნაგობით გამოირჩევა: გვერდებიდან შეჭყლეტილია და ვიწრო მხრით ყოველთვის მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხოლო ფართო მხრით - აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ეს უცნაური მოვლენა ძალიან ადვილად აიხსნება: ასეთი გზით მცენარე თავს იცავს გვალვისაგან, რომელიც პრერიებში მეფობს. მცენარის ფოთლები, რომლებიც ვიწრო პირით სამხრეთისაკენ - მზისკენაა მიმართული, მცირე ზედაპირის წყალობით, წყალს ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით აორთქლებენ.

ეს გახლავთ ლატუკი, - ველური სალათი, როგორც მას ამერიკაში უწოდებენ.

დათროზა ბავალითისთვის

ძველ სპარტაში, ხელისუფლების განკარგულების თანახმად, ერთ-ერთ მოხელეს ევალებოდა, დამთვრალიყო და ბარბაცით ეხეტიალა ქალაქის ქუჩებში, რათა ამით თვალსაჩინო გაკვეთილი მიეცა ახალგაზრდა მოქალაქეებისათვის: - აი, რა ცუდი რამეა სიმთვრალეო.

ნადირობაც ახას ჰქვია!

საფრანგეთში, ლიონის მახლობლად, ერთმა მონადირემ საფანტით დატენილი თოფი ესროლა კურდღელს. როცა ახლოს მივიდა, თოფი მინაზე დადო და კურდღლის ასაღებად დაიხარა, ყურცქვიტა აფართხალდა, წამოხტა ბალახიდან და სანამ გაიქცეოდა, თოფის სასხლეტს გამოჰკურა ფეხი. თოფმა იგრილა და ფეხში დაჭრილი მონადირე იმ ადგილზე დაეცა, სადაც ერთი წუთის წინ კურდღელი ეგდო.

მზის ავტომობილი

იაპონიაში შექმნეს მზის ენერჯით მოძრავი პირველი ავტომობილი. მას „მზემობილი“ უწოდეს. ავტომანქანის ძრავა მნათობის ენერჯიას ელექტროენერჯიად გარდაქმნის, ხოლო სახურავზე დამაგრებული მზის ბატარეა ენერჯიას აწვდის აკუმულატორებს. ეს კი მანქანას ღამით და ღრუბლიან ამინდში მუშაობის საშუალებას აძლევს.

თამაზები პერსონალურ კომპიუტერზე

BIG MUTHA TRUCKERS

ვისაც აინტერესებს, როგორია მრავალტონიანი ტრალერის მართვა, რომელსაც 40 ტონამდე ტვირთი გადააქვს და 120 კმ/სთ-მდე სიჩქარეს ავითარებს, აუცილებლად უნდა ნახოს ეს თამაში, რომელიც შინაარსით საკმაოდ კომიკურია, თუმცა, ამავე დროს, საკმაოდ მდიდარია პრაქტიკული ელემენტებითაც. მაგალითად: როდესაც რომელიმე ქალაქში ჩავდივართ, პირველ რიგში უნდა შევიაროთ ბარში და გავიგოთ მილეთის ამბები: რაიმე სარფიანი საქმე ხომ არ გამოჩნდა, ანდა რომელ ქალაქში რა ტვირთის წაღება უფრო მეტ მოგებას მოიტანს. შემდეგ კი უნდა ავარჩიოთ საჭირო ინფორმაცია და დავინყოთ ჩვენი კარიერის აწყობა.

კომიკური კი თავად თამაშში მონაწილე პერსონაჟებია: მსუქანა - ერლი, ქერათმიანი ლამაზმანი - ბობი სიუ, მუდამ მთვრალი უკბილო - კლეტუსი, ჩალიჩა ზანგი - რაკუსი. ამ ოთხეულს ჰყავს ძალზე აგრესიული, სანადირო თოფით შეიარაღებული დედობილი, რომელიც დრო და დრო შვილობილებს შორის შეჯიბრებებს აწყობს. ამასთან, მას დანესებული აქვს პრემიები ყოველ გაბრტყელებულ ავტომანქანაზე. მაგალითად: თუ ერთდროულად 2 ავტოს დაამტვრევთ, მიიღებთ 2.000 \$-ს, თუ 4-ს, - 10.000 \$-ს და ასე შემდეგ...

ჩვენი მანქანა დრო და დრო შეკეთებას მოითხოვს, აგრეთვე მას სანვავიც სჭირდება და თუ დროზე არ მივაკითხეთ ავტოსადგომს, ბუქსირით დაგვაბრუნებენ უკან გამოსვლის პუნქტში. გზაზე, მართალია, ავარიების მოწყობაც შეგვიძლია, მაგრამ თუ გადავამლაშებთ, ან პოლიცია დაგვაჯარიმებს, ანდა ბაიკერები წაგვართმევენ ტვირთს მისაბმელიანად და დაახლოებით 40.000 \$ გადახდა მოგვინევს ახლის საყიდლად.

თამაში ძალიან ლამაზადაა გაკეთებული. მას არც ისე დიდი მოთხოვნები აქვს და საშუალო კონფიგურაციის პერსონალურ კომპიუტერთანაც დიდი სიამოვნებით იმეგობრებს.

ბოლოს, მაღლობა მინდა გადავუხადო მაღაზია "კომპიუტერს" (მელიქიშვილის ქ.№13) ამ თამაშის განსახილველად მონოდებისათვის.

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს 7.5 ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



INDIANA JONES AND THE EMPEROR'S TOMB

ამერიკელი ინდიანა ჯონსი ცნობილი ავანტიურისტია, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე მამაცი არქეოლოგიცაა. იგი მსოფლიოს სხვადასხვა მიყრუებულ კუნძულში დაეძებს წარსული დროის უძვირფასეს ხელოვნების ნიმუშებს. ჯონსს აქვს მიზანი და იგი ამ მიზანს მაინც აღწევს, რადაც არ უნდა დაუჯდეს. გზად მას ათასი ფათერაკი ელოდება, ამავე დროს, კონკურენტებიც ბლომად ჰყავს, მაგრამ იგი, მათგან განსხვავებით, მარტო მოქმედებს. პირველი მოგზაურობა ინდოეთთან მდებარე კუნძულ ცვილონზე გექნებათ, - ჩაით განთქმულ მიწაზე უნდა მიაკვლიოთ უძველესი სასახლის შენიღბულ შესასვლელს, შემდეგ კი უნდა დაუძვრეთ კლანჭებიდან უზარმაზარ კაციჭამია ნიანგებს. კონკურენტების გზიდან ჩამოშორებისათვის, რა თქმა უნდა, ცეცხლსასროლი იარაღი დაგეხმარებათ, მაგრამ შესაძლებლობა გექვსთ, აგრეთვე პირდაპირ ხელჩართულ ბრძოლაზეც გადახვიდეთ და მათ მუშტით ასწავლოთ ჭკუა. მთავარი ბოროტმოქმედი შეგიძლიათ ნიანგებსაც უწილალოთ. ამ მოგზაურობიდან დაბრუნებისას მაინცდამაინც ნუ მოეშვებით. ამჯერად უკვე ჩეხეთი გველოდება ულამაზესი ციხე-კოშკებით. ამ ეტაპზე მიხვდებით, რომ ცვილონზე მოგზაურობა უბრალო გასეირნება ყოფილა...

ამ თამაშში თქვენ გექვსთ შანსი, გამოსცადოთ თავი, გადალახოთ უამრავი დაბრკოლება, ამოხსნათ საკმაოდ რთული თავსატეხები და სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ რთულ სიტუაციებში.

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს 7.9 ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



ახოვნი

PRINCE OF PERSIA THE SANDS OF TIME

მინდა ყველას ვაუნყო სასიხარულო ამბავი: ბრუნდება ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში და იგი ბრუნდება თანამედროვე ანიმაციური ტექნოლოგიების გათვალისწინებით. ამ ოპტიმისტური განცხადების მიზეზი ისაა, რომ თამაშზე მუშაობს ცნობილი სტუდია Ubisoft (GHOST RECON, SPLINTER CELL, RAINBOW SIX...), რომელმაც სპეციალურად მოიწვია პირველი "სპარსეთის პრინცი" სულისჩამდგმელი - ჯორდან მეჰნერი.

თამაშის სიუჟეტი შემდეგნაირია: მაჰარაჯასთან სასახლეში შეიჭრება პრინცი მამა, რომელიც მოხვდება ბოროტი ვეზირის დაგებულ მახეში. პრინცი გამოიყენებს ჯადოსნურ ხანჯალს, დაამსხვრევს ქვიშის საათს, გამოათავისუფლებს დროის ქვიშას, რომელიც შემდგომში პრინცს გამოადგება, როგორც დამხმარე ძალა. საბოლოოდ ეს ქვიშა უკან იქნება დასაბრუნებელი, რადგან მისი გარეთ დატოვება ძალზე სახიფათოა და საჭიროა იმისათვის, რომ სამყაროს მშეიდობა დაუბრუნდეს.

თამაში გამოვსა ამა წლის ბოლოს როგორც სათამაშო კონსოლებზე, ასევე პერსონალურ კომპიუტერზე.



რეიტინგი

გასული თვის საუკეთესო ათეული

1. Delta Force: Black Hawk Down
2. Command & Conquer: Generals
3. The Sims: Deluxe
4. The Sims: Unleashed
5. Battlefield 1942
6. Harry Potter Chamber of Secrets
7. Zoo Tycoon
8. Crime Scene Investigation
9. Diablo II
10. Warcraft III



გვერდი მოამზადა ზურაბ ბოკერიამ

ქართული საბრძოლო ხელოვნება კრივი

ისტორიკოს გ. ლორთქიფანიძის ცნობით, ვანის ნაქალაქევი აღმოჩნდა ქანდაკება, რომელიც დასტურყოფს, რომ სპორტის ამ სახეობას ჩვენში მისდევდნენ უძველესი დროიდან.

„საქართველოში ძვ. წელთაღრიცხვით I-II საუკუნეებში კარგად იცნობდნენ კრივს, სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას და მოკრივეთა ქანდაკებებსაც ქმნიდნენ. ჩვენამდე მოაღწია მოკრივის მარჯვენა ხელმა. მას ჩამოცმული ჰქონდა ტყავის უთითო ხელთათმანი, რომელსაც ზემოდან გადაჭიმული აქვს ტყავისავე ბრტყელი თასმა. ასეთივე თასმა ჰქონდა დახვეული მაჯაზე. თითები მოხრილია, მაგრამ მუჭად არ არის შეკრული, თითებს შუა ნაწილს შემოუყვება თასმა, რომელსაც თითქოს ლითონის აბზინდები აქვს დატანებული. აქ საქმე გვაქვს ანტიკური სპორტის ისტორიაში კარგად ცნობილ ე.წ. სამუშტე ღვედებთან. ცნობილი იყო მათი ორი სახეობა. თავდაპირველად რბილ ღვედებს ხმარობდნენ, გვიანელინისტური ხანიდან კი ფართოდ ვრცელდება რკინის აბზინდიანი სქელი ტყავის თასმები, რომელთაც ხელზე იხვევდნენ დარტყმების გასაძლიერებლად.

სწორედ ხელთათმანის ეს უკანასკნელი სახე გახლდათ გამოსახული ვანის სკულპტურაზე. ამ სახის ხელთათმანით მიყენებული დარტყმები ძალზე საგრძნობი იყო და ხშირად მოკრივეები ერთმანეთს ასახიჩრებდნენ. კრივი სპორტსმენტა განსაკუთრებულ გამძლეობას და ოსტატობას მოითხოვდა, სამაგიეროდ, გამარჯვებულნი ხალხის საყვარელ გმირებად იქცეოდნენ ხოლმე. ასე რომ, კრივი ანტიკურ საქართველოში პოპულარული იყო. ამის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად ვანში აღმოჩენილი სკულპტურის ფრაგმენტი მიგვაჩნია“, - ნერს გ. ლორთქიფანიძე.

ქართველ ტომებთან ხელჩართულ ბრძოლაში მტერი მარცხდებოდა ქართველთა ფიზიკური განვითარების გამო. მათთვის დამახასიათებელი იყო სიმარდე და მოქნილობა, ჩაუქობა ცხენოსნობაში და, რაც მთავარია, კარგად ჰქონდათ შეთვისებული ჭიდაობა და კრივი.

ქართველთათვის არც ოლიმპიური შეჯიბრებები ყოფილა უცხო, სადაც კრივიც შედიოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოს-ეთნოგრაფმა ივ. გვარამაძემ 1832 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა გამოკვლევა ქართული ოლიმპიური თამაშების შესახებ, რაც იწოდებოდა „ერის კოტაობად“ (ჭიდილად, კეჭნაობად) და აღნიშნა, რომ ამ თამაშებში ერია „მჯილთ ბრძოლა“ (კრივი).

ივ. გვარამაძის ცნობით, ძველისძველად ბევრნაირი საგმირო ვარჯიშობები ტარდებოდა თურმე მესხეთში. სარბიელს წარმოადგენდა სათალასა და მუსხის მინდვრები. იქ სამ წელს თავს იყრიდა ერობა ყველიერებში საგარჯიშოდ, ვაჟკაცობის გამოსაცდელად.

„მერმე ირჩევდნენ „სამამაცო ზნეობაში“ დახელოვნებულს თავ-გმირებს და მეოთხე წელს ვანის მთისკენ გადავიდოდნენ ცხრა წყაროს“. აქ იმართებოდა, გვარამაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქვეყნო ოლიმპიური თავგამოჩენილი ვარჯიში“. ასე ხდებოდა სოფელ ერკოტაშიც. აქაც თავს იყრიდნენ სამი წლით, დახელოვნდებოდნენ საგმირო ზნეობაში და მეოთხე წელს გადავიდოდნენ ცხრანყაროს, ერთმანეთთან შესარკინებლად. იქ იმართებოდა ასპარეზობა, აგრეთვე გამარჯვებულთა დაჯილდოება სხვადასხვა სახის სპორტში, აგრეთვე კრივიც. ჩაიცვამდნენ მჯილით მებრძოლნი ტყავის თათმანებს, თითბრით მოჭე-



რეზობათა შორის პოპულარობით ოდით-ვე გამოირჩეოდა. იგი ხალხში დაიბადა, ხალხმავე განავითარა საუკუნეების განმავლობაში. კრივი ხალხის ფიზიკური და სულიერი წრთობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო.“ XIX საუკუნეში საქართველოს სხვა-

დასხვა ქალაქში ხშირად იმართებოდა კრივი. კვირაცხოვლობის, თელეთობის სახალხო დღესასწაულებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისი. კრივი შეჯიბრებებს ხშირად ესწრებოდა დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი, რომელიც კრივის ფალავნებს ყოველმხრივ აქეზებდა და ხელს უწყობდა. ერთ-ერთი საუკეთესო ფალავანი, თბილისელი ყარაჩოხელი ლოპანა გრიგოლ ორბელიანის მეგობარი და თანამესუფრე ყოფილა.

ყველაზე დიდი კრივობა „უმთავრესი სალდასტის კრივები“ (კრივი ხის ხმლითა და შურდულით), იმართებოდა ყველიერში, თავდებოდა დიდმარხვის პირველ დღეს და აქვს თავისი ისტორიული სახელწოდება, - ყეინობა.

დღემდე მოღწეულია ამ ასპარეზობის უშუალო მონაწილისა და თვითმხილველის, ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწის, დავით იოსების ძე ბებუთაშვილის (1792-1867) მოგონებანი, სადაც ჩართულია თბილისური კრივის ამბებიც XIX საუკუნის გარიჟრაჟზე. კრივის ასეთი აღწერა ქრონოლოგიურად პირველია საქართველოს სინამდვილეში და, ამდენად, დიდად საინტერესოც. მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ძველი თბილისის ეთნოგრაფიის, არამედ ქართულ ასპარეზობათა ისტორიისთვისაც.

ასევე, შემონახულია კრივის აღწერა თელავში. იგი უნდა ეკუთვნოდეს გაზეთ „შრომა“-ს კორესპონდენტს ალექსანდრე დოდაშვილს, რომელიც ფსევდონიმითაც წერდა. მისი ფსევდონიმი იყო „მალაროელი“. იგი თვითმხილველი ყოფილა XIX საუკუნის 80-იან წლებში თელავში გამართული კრივობისა. მან კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა ქართულ ასპარეზობათა ისტორიაში.

„პატარა ქალაქ თელავში ჩვენს დრომდის იმართებოდა კრივები ზამთრობით. კრივები იწყება ნოემბერში და თავდება იმ დროს, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში „ყეინობას“ უწოდებენ.

კრივის დროს მთელი თელავი ორ ბანაკად იყოფა: ერთს მხარეს შეადგენს თელაველები, მეორეს - ძველი გალავნელები, რომლებიც რიცხვით ექვსჯერ მაინც მომეტებული არიან თელაველებზე; მაგრამ თელაველების სიმამაცე, ხელოვნება, ერთობა და მუშაობისაგან შეძენილი ძალ-ღონე უფრო ხშირად სძლევენ ხოლმე მრავალრიცხოვან ძველგალავნელთ. ყოველთვის თელაველნი რჩებიან გამარჯვებულნი, თუ თვითონ მოკრივეს სამი მონინალმდევის მეტი არა ებრძვის, ე.ი. თუ ოც თელაველზე სამოცი ძველი გალავნელი მეტი მაინც არ არის.


ეგრეთი ცოტასაგან გამარჯვება ბევრზედ, მამაგონებს პატარა საქართველოსა, რომელიც ხშირად სძლედა, ამარცხებდა და უღელტდა თავის მრავალრიცხოვან და უთვალავს მტრებსა: სპარსთა, ოსმალთა, თათართა და სხვათა.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მოკრივენი დიდ მოხერხებასა და გამჭრიახობას იჩენდნენ კრივში. თუ მხარეს მოხერხებული ადგილი უკავია, მონინალმდევე თუნდაც სუსტი იყოს, მაინც არ დაეცემა და ცდილობენ მოატყუონ იგინი სამიოთხი კაცის ჩაგზავნით კრივში.

გარდა ამისა, მრავალგვარ ხერხს ხმარობენ კრივში, ასე რომ, შეიძლება დიდი ღონის მქონე კაცი სულ პატარა და უღონობისაგან იცემოს და დამარცხდეს.


კრივი ბევრ თელაველს პურივით მოშვივებდა ხოლმე და კრივის დროს ზოგიერთი მოხუცებული პატროსანი კაცები ათრთოლდებიან და აკანკალდებიან ხოლმე კრივის დანახვაზე...“

კროსვორდი



მანანა ტყვილაშვილის ნახატი

წინა თავსატახენის პასუხები



კროსვორდი
ჭადრაკის დაფაზე

თარაზულად: 1. მოღვანეობა; 9. აუტსაიდერი.

შვეულად: 1. მონოგრაფია; 5. ავტორიტარი.

დიაგონალურად (ზემოდან ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ): 1. მიკროსკოპი; 2. ღრუტუნია; 3. ავტორი; 4. ერწო; 6. ნიკოლაძე; 7. გოდორი; 8. აბას.


კროსვორდი ანიმაციური გმირებით

შეავსეთ ჰორიზონტალური უჯრები ანიმაციური ფილმების გმირთა სახელებით ისე, რომ ვერტიკალურ სვეტში მიიღოთ ცნობილი ამერიკელი მხატვარ-მულტიპლიკატორის სახელი და გვარი:

მომზადდა თბილისის მე-2 გიმნაზიის მე-4 კლასის მოსწავლემ ვაკო მახარაშვილმა

- | | |
|--|--|
| 1. გრელცხვირა ხის ბიჭუნა; | 6. ხახვისთავიანი ბიჭუნა; |
| 2. პატარა თავუნისგან „დაჩაგრული“ კატა; | 7. მეფე-ლომი; |
| 3. მგლების „შვილობილი“; | 8. ბროლის ქოშიანი ღარიბი მზეთუნახავი; |
| 4. გულუბრყვილო ბატი; | 9. შვლის ნუკრი ამერიკიდან; |
| 5. ჯადოსნური ლამპრის მფლობელი ბიჭი; | 10. გოგონა, რომელიც ბებიასთან კალათით მიდიოდა. |

რებუსი



ილია კრეაშვილის ნახატი